1933

# ნიანგი




12

1933

ნახ. მხატვრ.—დ ე ნ ი ს

ფოტო

## კონფერენცია ხარისხობრივ ფოლადის საკითხებზე



მოსკოვში შესდგა საკავშირო კონფერენცია ხარისხობრივ ფოლადის საკითხებზე. სურათზე—კონფერენციის პრეზიდიუმი. მარჯვნივ (პრეზიდიუმში) საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. სერგო ორჯონიკიძე

## ჩაის ფრონტზე



ამხ. ბაბილოძე და მელუა—ანასეულის ჩაის პლანტაციების საუკეთესო დამკვრელი ბრიგადირები.



ამხ. გოგუაძე—(მარჯვნივ) კომკავშირელი, ოზურგეთის ჩაის ფაბრიკის ზეინკალი, რომელმაც იკისრა სამი როლერის ვადაზე ადრე შეკეთება მწვანე ჩაის ფოთლის გადასამუშავებლად მიღების უზრუნველსაყოფად. ამხ. გოგუაძე რამოდენიმეჯერ იყო დაჯილდოვებული.



სამხრეთ-ოსეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. კოსტა ჯატიევი თბილისის პროლეტარიატის წარმომადგენლებთან ამხ. სტალინის სახელობის ბაღში თბილისის საბჭოს საზეიმო პლენუმის წინ

## საკოლმეურნეო სკოლა წითელ წყაროში



წითელ წყაროს საკოლმეურნეო სკოლაში სწავლობს კოლმეურნეთა 400 შვილი. სკოლამ შეფობა აიღო მთელ რიგ კოლმეურნეობებზე, წერა-კითხვა შეასწავლა 87 კოლმეურნეს და აწარმოებს ფართო კულტურულ მუშაობას.

სურათზე—სკოლის მოწაფეები მუშაობენ ბოსტანში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-მ საათამდე. მისამართი: წულუკიძის ქ. 8.

№ 12 ტფილისი, 30 ივნისი

გაზ. „კომუნისტი"-ს გამ-ბა 1933

# მსოფლიო მუშათა კლასი ირაზმება ფაშიზმის, სოციალ-ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ

უსასტიკესი ეკონომიური კრიზისის შედეგად გამწვავებული კლასობრივი წინააღმდეგობანი, მასებში რევოლუციონური განწყობილების ზრდა, სოციალ-ფაშიზმის გავლენის საგრძნობლად დაცემა და კომპარტიების გაძლიერება აიძულებს ბურჟუაზიას ხელი აიღოს მართველობის ძველ მეთოდებზე და ახალ საშუალებებს მიმართოს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის შესანარჩუნებლად.

მაგალითი გერმანიის, სადაც 1933 წლის მარტში, უსასტიკესი ფაშისტური ტერორის პირობებშიც, კომუნისტურმა პარტიამ შესძლო ხუთი მილიონი ხმის მიღება, უჩვენებს ბურჟუაზიას, რომ მისთვის სახიფათოა შეინარჩუნოს ჩვეულებრივი პარლამენტარული წესწყობილება, რომელიც მცირეოდენ ხვრელს მაინც სტოვებს რევოლიუციონური მუშათა კლასის წარმომადგენლებისათვის. ამიტომ ბურჟუაზია ხელს იღებს „საყოველთაო" საარჩევნო უფლებაზე, კანონის გარეშე აცხადებს რევოლიუციური მუშათა კლასის წარმომადგენლებს, აუქმებს მათ მანდატებს (გერმანია, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი და სხვ.), ან საარჩევნო ოლქების მექანიკურად გადაყოფით მინიმუმამდე დაჰყავს რევოლიუციონური პროლეტარიატის წარმომადგენლობა (მაგალითად, საფრანგეთში, სადაც კომუნისტურმა პარტიამ უკანასკნელი საპარლამენტო არჩევნების დროს მიიღო ოთხჯერ ნაკლები მანდატები, ვიდრე მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით ეკუთვნოდა).

არასაიმედო ხდება ბატონობის მთავარი იარაღიც — არმია და ფლოტი. „გამხრწნელი" რევოლიუციონური იდეები იჭრება ყაზარმებსა და მცურავ ციხე-სიმაგრეებში, კომუნისტური მოწოდებები და ფურცლები ჰპოულობენ გზას რუხ ფარაჯაში გამოწყობილ მუშებისა და მშრომელი გლეხობისაკენ. რუსეთის მაგალითმა, ბავარიის და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკების მაგალითმა თვალსაჩინოდ დაანახვა ბურჟუაზიას, თუ რა საშიშია იარაღი სამხედრო შკოლა გავლილ მუშებისა და გლეხების ხელში, რომლებშიც კლასობრივმა შეგნებამ გაიღვიძა. ამიტომ იყო, რომ ბურჟუაზია ომის დამთავრებისთანავე შეუდგა საკუთარი „სავსებით საიმედო და ერთგული" შეიარაღებული ძალების შექმნას. ეს კლასობრივი პრინციპის მიხედვით შერჩეული ძალები, შედგენილი ვაჭრების, კულაკების და დეკლასირებული ელემენტებისაგან, მოწოდებული იყვნენ დაეცვათ „არსებული წესწყობილება" და კერძო საკუთრება.

ეს ძალები პირველ ხანებში წარმოადგენდა ბურჟუაზიის ფარულ რეზერვებს, რადგან სოციალ-დემოკრატია მშვენივრად ასრულებდა თავისი ხაზეინების სოციალურ დაკვეთას — სარგებლობდა რა თავისი გავლენით მუშათა მასებში, ყოველმხრივ აკავებდა მას კლასობრივი ბრძოლებისაგან, სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებისაგან. სოციალ-დემოკრატია, რომელიც სიტყვით სოციალიზმის და დემოკრატიის მზეს ფიცულობდა, მშვენიერ ურთიერთობაში იმყოფებოდა ამ ფაშისტურ ორგანიზაციებთან და საჭიროების დროს იყენებდა მათ მუშათა კლასის რევოლუციონური გამოსვლების ჩასაქრობათ; ბ-ნ ნოსკეს, ზევერინგს და სხვა სოციალ-პოლიციელებს შეუძლიათ მოიყვანონ მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ არბევდნენ ისინი მუშათა ორგანიზაციებს ფაშისტური ბანდების საშუალებით.

მაგრამ, სანამ სოციალ-დემოკრატია შეადგენდა ბურჟუაზიის მთავარ დასაყრდენს, სანამ იგი წარმატებით ასრულებდა მოკავშირეს მოვალეობას, ბურჟუაზიის ხელმძღვანელი წრეები საჭიროდ თვლიდნენ პარლამენტარული დეკორუმის დაცვას, რომ სოციალ-დემოკრატიისათვის გაეადვილებიათ მასების მოტყუება, მასში ილიუზიების თესვა.

მაგრამ ეკონომიური კრიზის, კლასობრივი ბრძოლების გამწვავება, კაპიტალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა გართულება და მასების გარევოლუციონერების პროცესი თანდათანობით აძნელებენ სოციალ-დემოკრატიისათვის ბურჟუაზიის დაკვეთის შესრულებას: მასები ფხიზლდებიან და გადადიან კლასობრივი ბრძოლის დროშების ქვეშ კომპარტიების დროშების ქვეშ. ბურჟუაზიის ხელმძღვანელი წრეებისათვის თანდათანობით ძნელი ხდება მართვა პარლამენტარული გზით, იგი გადადის აშკარა დიქტატურის მეთოდებზე, ასპარეზზე გამოჰყავს თავისი შეიარაღებული რეზერვები, იხდის დემოკრატიზმის და პარლამენტიზმის ნიღაბს.

რასაკვირველია, სახელმწიფო აპარატის ფაშიზაციის ეს პროცესი ყველგან ერთნაირად არ ხდება, ფაშიზმის ძალების სოციალური შემადგენლობა ყველგან სავსებით ერთნაირი არ არის, მაგრამ ყველგან და ყოველთვის ფაშიზმი, თავისი თავდაპირველი მყვირალა, დემაგოგიური ფრაზების მიუხედავათ საბოლოო ანგარიშით გამოდის, როგორც მხეცური კაპიტალის მებრძოლი იარაღი.

ყველგან, სადაც ბურჟუაზიამ სახელმწიფოს სათავეები მოუწოდა ფაშიზმს, უკანასკნელი მმართველობის სათავეში მოექცა სოციალ-ფაშისტების აქტიური დახმარებით, სოციალ-ფაშიზმის მოღალატური პოლიტიკის წყალობით. სოციალ-ფაშიზმსა და ფაშიზმს შორის არსებობს მხოლოდ უთანხმოება, უთანხმოება იმაში, თუ რა გზით, რა მეთოდებით იქნას დათრგუნვილი მუშათა კლასი. მაგრამ სოციალ-ფაშიზმი და ფაშიზმი არ არის ორი დაპირისპირებული ძალა. ეს არის ორი ფრაქცია, რომელიც ისახავს ერთ მიზანს — კაპიტალიზმის გადარჩენას და პროლეტარული რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლას.

განა ზევერინგი, ცერგიბელი და სხვა სოციალ-პოლიციელები არ

ებრძოდნენ მუშათა კლასს, არ ხურავდნენ კომუნისტურ გაზეთებს, სისხლიანი აბანოებს არ უმართავდნენ მუშებს, ციხეებს არ ავსებდნენ პროლეტარული რევოლიუციონერებით! ჰიტლერი გერმანიაში მხოლოდ უფრო თანამიმდევრობით და ულმობლად ატარებს მუშათა კლასზე იერიშის პოლიტიკას, სრულიად კრძალავს კომუნისტურ და მუშათა პრესას, საბოლოოდ არბევს მუშათა კლასის ორგანიზაციებს, ამ გზით აპირებს ის გერმანიის კაპიტალიზმის გამოყვანას ჩიხიდან. ველსებს, ლეიპარტებს და სხვ. სოციალ - ფაშისტურ ბურჟუებს არავითარი საკამათო არა აქვთ ფაშიზმის მიზნებისა და ამოცანების საკითხში. ისინი მხოლოდ ფიქრობენ, რომ გერმანიის კაპიტალიზმის გადასარჩენად უფრო მიზანშეწონილია მათი მოღალატური პოლიტიკა, მუშათა კლასისათვის ზურგში მახვილის ჩაცემის პოლიტიკა, ვიდრე აშკარა ფაშისტური დიქტატურა.

სოციალ - ფაშიზმი ყოველგვან და ყოველთვის გამოდის, როგორც ფაშიზმის ერთგული და საიმედო თანამშრომელი კაპიტალიზმის გადარჩენისათვის ბრძოლაში, როგორც გზის გამკაფავი ფაშისტური დიქტატურისათვის.

სოციალ - ფაშისტებმა მოამზადეს ნიადაგი ფაშისტური დიქტატურისათვის იტალიაში, უნგრეთში, ავსტრიაში, პოლონეთში, გერმანიაში. სოციალ - ფაშისტები ბურჟუაზიის მინისტრებთან ერთად ხვრეტენ რევოლიუციონურ მუშებს ბელგიაში, ჩეხო - სლოვაკიაში, შვეციაში, დანიაში და სხვაგან, რევოლიუციონური მუშებით და კომუნისტებით ავსებენ ციხეებს, კრძალავენ კომუნისტურ პრესას. სოციალ - ფაშისტების თანამშრომლობამ ფაშისტებთან, მათმა სრულმა კაპიტალიაციამ ფაშიზმის წინაშე სასიკვდილო ლახვარი ჩასცა სოციალ - დემოკრატიის გაელენას, დაშლის კარამდე მიიყვანა II ინტერნაციონალი.

ამიტომ შეუძლებელია ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სოციალ - ფაშიზმთან ბრძოლის გარეშე. ამიტომ არის, რომ ყველა ქვეყნების რევოლიუციონური მუშები კომპარტიების ხელმძღვანელობით ქმნიან ერთიან ფრონტს ფაშიზმისა და სოციალ-ფაშიზმის წინააღმდეგ.

მზადება ანტი - ფაშისტური კონგრესისათვის, რომელიც 4 ივნისს გაიხსნა პარიზში, გადაიქცა პროლეტარიატის საერთაშორისო სოლიდარობის მძლავრ დემონსტრაციად. კაპიტალისტური მთავრობების მიერ ამუშავებული პოლიციური აპარატის რეპრესების მიუხედავათ კონგრესს დაესწრო 3000 დელეგატი ევროპის თითქმის ყველა ქვეყნებიდან, რომლებმაც ფიცი დასდვეს იბრძოლონ კომპარტიების ხელმძღვანელობით სიმშილის, სიღატაკის, ფაშიზმის, სოციალ - ფაშიზმისა და ახალი ომის წინააღმდეგ.

სოციალ - ფაშისტების მახინაციების მიუხედავათ, მათი სურვილის წინააღმდეგ მუშათა კლასი ქვეიდან ქმნის ნამდვილ ერთიან ფრონტს ძველ სამყაროს დასანგრევათ, პროლეტარული დიქტატურის დასამყარებლად.



იაპონიის ჯარების შესვლა ჟეხეს პროვინციის მთავარ ქალაქ ჩენდეში.

# გარდაიცვალა ამხ. კლარა ცეტკინი



საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებს გამოაკლდა კიდევ ერთი შეუდრეკელი რევოლუციონერი—ამხ. კლარა ცეტკინი.

კლარას იცნობს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასი. მთელი 50 წ. განმავლობაში ის შეუნელებელ ბრძოლას აწარმოებდა მუშათა კლასის ყველა მტრების წინააღმდეგ. კლარა ცეტკინის რევოლუციური ენთუზიაზმით აღსავსე სიცოცხლე, მისი ყოველდღიური მოღვაწეობა მჭიდროთ იყო დაკავშირებული საერთაშორისო პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობის ისტორიასთან.

ამხ. კლარა ცეტკინი (ეისნერი) დაიბადა 1857 წ. ვიდერაუში (საქსონია). ადრე დასტოვა მან მშობლების ოჯახი და ლეიპციგში მასწავლებლობის ხარისხის მიღების შემდეგ მუშაობდა პედაგოგიურ დარგში. ამავე ხანებში ებმება ის არალეგალურ მუშაობაში, ითვლება გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ერთ-ერთ აქტიურ წევრად.

არალეგალურად მუშაობის პერიოდში გაეცნო ის პოლონელ ემიგრანტს, თავის მომავალ ქმარს—ოსიპ ცეტკინს, რომლის მეშვეობით კავშირი გააბა რუს ემიგრანტებთან. სულ ჩქარა ო. ცეტკინს აძევებენ გერმანიიდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირს, კლარა თან მიჰყვება მას ჯერ შვეიცარიაში, შემდეგ პარიზში.

პარიზში მეტად მძიმე პირობები შეიქმნა მისთვის, მარტო უხდებოდა დაავადმყოფებული ქმრისა და ორი ბავშვის შენახვა, ხოლო ქმრის გარდაცვალების შემდეგ ის გადმოსახლდა გერმანიაში. 1889 წ. კლარა მუშაობს შტუტგარტში ე. წ. „დიც“-ის გამომცემლობაში.

უდიდესმა ცოდნამ და ორატორულმა ნიჭმა კლარა მოიყვანა გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ბელადების მოწინავე რიგებში. ამიტომ იყო, რომ 1892 წ. მას მიანდეს ჟურნალ „გლეიხჰეიტ“-ის რედაქტორობა. ამ ჟურნალში კლარა აშუქებდა ქალთა საერთაშორისო მოძრაობის საკითხებს, მომავალ ბრძოლებისათვის ამზადებდა პროლეტარ ქალთა მილიონებს.

ეს ჟურნალი კლარამ გადააქცია კლასობრივი ბრძოლის მძლავრ იარაღად. ამხ. კლარა ამასთან ერთად ეწეოდა მეტად დიდ საპასუხისმგებლო მუშაობას. იგი იყო ქალთა მთელ რიგ საერთაშორისო კონფერენციების ორგანიზატორი და მძღვანელი. პირველი ქალთა კონფერენცია მოეწყო მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1907 წ. მისი წინადადებით კონფერენციამ გამოიტანა დადგენილება ქალთა საერთაშორისო სამდივნოს დაარსების შესახებ.

1910 წ. კოპენჰაგენში შესდგა ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც კლარას წინადადებით 8 მარტი გამოაცხადა ქალთა საერთაშორისო დღედ.

გერმანიის სოც.-დემოკრატიის ბელადთა შორის ამხ. კლარა ყოველთვის უკიდურეს მემარცხენე ფრთას ეკუთვნოდა, ის მტკიცედ და ენერგიულად იბრძოდა რევიზიონიზმის წინააღმდეგ. როცა მსოფლიო ომი დაიწყო, მან კიდევ უფრო გაამძაფრა თავისი ბრძოლა მილიტარიზმის, შოვინიზმისა და ომის წინააღმდეგ. ამხ. კლარას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ლენინთან და რუს ბოლშევიკებთან. 1915 წ. ბერნში მოწვეული ქალთა საერთაშორისო კონფერენცია მან გადააქცია ანტიიმპერიალისტურ დემონსტრაციად.

ამხ. კლარა რ. ლიუქსემბურგისა და კარლ ლიბკნეხტთან ერთად იყო „სპარტაკის“ დამაარსებელი. 1917 წ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ კლარა გაბედულად გამოდის გერმანიის რუს ბოლშევიკებისა და ოქტომბრის რევოლუციის დასაცავად. ამხ. კლარა „სპარტაკის“ სხვა წევრებთან ერთად შევიდა დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატიულ პარტიაში. ამ პარტიასა და მის ცენტრ. კომიტეტში ამხ. კლარა ენერგიულად იბრძოდა რევოლუციური ინტერნაციონალიზმისათვის. მაგრამ სულ ჩქარა ქ. ცეტკინის უთანხმოება დამოუკიდებელ სოც.-დემოკრატიულ პარტიის მესვეურებთან, როგორც ოქტომბრის რევოლუციის შეფასებაში, ისე პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სხვა ძირითად საკითხებში, ისე ღრმა ხასიათს იღებს, რომ 1920 წ. ჰალეს კონფერენციაზე ის სრულიად სტოვებს დამოუკიდებელი ს.-დ. პარტიის რიგებს და გადადის გერმანიის კომპარტიაში, მას ირჩევენ კომპარტიის ც.კ.-ს წევრად. ამ დღიდან ის დაუღალავ მუშაობას აწარმოებდა, როგორც გერმანიის კომპარტიაში, ისე კომინტერნში.

1920 წ. სექტემბერში, ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში, კლარა პირველად ჩამოვიდა საბჭ. კავშირში. ეს ის დრო იყო, როცა კრემლის დარბაზში თავი მოუყარა რუსეთის ბოლშევიკურ პარტიის საუკეთესო წარმომადგენლებს და ამხ. ლენინის მეთაურობით მიმდინარეობდა პარტიის მე-9 ყრილობა. ამხ. ლენინმა [illegible] შეფასება მისცა ყრილობის წინაშე კლარას მიერ ბრძოლით გავლილ გზას საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. მთელმა ყრილობამ ფეხზე ადგომით მიესალმა მას.

თუ რა უდიდესი რევოლუციური ენთუზიაზმის მატარებელი იყო ამხ. კლარა, რა შეუპოვარი და რკინის ნებისყოფით დაჯილდოვებული რევოლუციონერი იყო ის, სჩანს იქიდან, რომ გერმანიის ფაშისტების მუქარის მიუხედავად, მან როგორც უხუცესმა წევრმა 1932 წ. 8 მარტს გახსნა რეიხსტაგის სესია, რომელზედაც წარმოსთქვა მისთვის ჩვეული რევოლუციური სიტყვა, რომელიც დაამთავრა სურვილით გაეხსნა გერმანიის საბჭოების პირველი ყრილობა.

მიუხედავად ფიზიკური დაუძლურებისა და მოხუცებულობისა, კლარა გამსჭვალული იყო დაუცხრომელი რევოლუციური ცეცხლით და გერმანიის და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის მომავალი გამარჯვების ღრმა რწმენით. ასეთი იყო ის პრაქტიკულ ცხოვრებაშიაც. უკანასკნელ ხანებში მან დასწერა ახალი შრომა ომისა და ინტერვენციის წინააღმდეგ, რომელშიაც თვალსაჩინოდ გამოაშკარავებულია საერთაშორისო სოციალ-გამყიდველთა მოღალატური და თვალთმაქცური პოლიტიკა მუშათა კლასის მიმართ.

ამხ. ცეტკინი გერმანიის კომპარტიის რიგებსა და კომინტერნში მუშაობასთან ერთად არ ივიწყებდა საერთაშორისო თეთრი ტერორის მსხვერპლთ, მათ ეწეოდა მიტოვებულ ოჯახის წევრებს. ის ამ მსხვერპლთა საშინელი რეჟიმის შესამსუბუქებლადაც დაუღალავად მუშაობდა. კლარა იყო რევოლუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაციის—[illegible] აღმასკომის თავმჯდომარე. ამ მხრივაც განუზომელია მისი მოღვაწეობა. ძალიან ბევრი რამ გააკეთა მის სიცოცხლეში ამ ორგანიზაციის ქსელის გასაფართოებლად დასავლეთის და აღმოსავლეთის მთელ რიგ ბურჟუაზიულ და კოლონიალურ სახელმწიფოებში.

ასეთი იყო ეს შეუდარებელი, რევოლუციის ცეცხლით აღზნებული ქალი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე.

საერთაშორისო მუშათა კლასმა, პროლეტარ ქალთა მილიონებმა და განსაკუთრებით გერმანიის კომპარტიამ დაჰკარგეს ერთ-ერთი უდიდესი მებრძოლი ადამიანი, რომლის ცხოვრება და ბრძოლა მაგალითად დარჩება მსოფლიო ოქტომბრისათვის ყველა მებრძოლთათვის.

# სოციალისტური აღორ
## საბჭოთა სამხრეთ-ოსე









# ძინების 13 წელი
## თის XIII წლის თავი







შინელი ანტისანიტარი იყო გამეფებული.

ამას ამჟამად უკვე ელიბა ბოლო და ქალაქი ევროპულ ყაიდაზე იწყებს ზრდას. ჩრდილოეთით მდებარე, მისი ახლად გაშენებულ ნაწილზე გადაჭიმულია რამოდენიმე ფართო, ნათელი და მოკირწყლული ქუჩა, რომელთა გასწვრივ საალმშენებლო ხელოვნების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულია მრავალი კერძო საცხოვრებელი და საზოგადოებრივ - სახელმწიფო დანიშნულების შენობა.

ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებული ადგილი კულტურის სასახლეს უჭირავს. ამ საკმაოდ მოზრდილ შენობაშია მოთავსებული ოსეთის სახელმწიფო თეატრი, რომლის ისტორია 1931 წლიდან იწყება (სახელმწიფო თეატრის დასის ჩამოყალიბების თარიღი), მანამდე კი პროფესიონალური თეატრი ოლქს არ ჰქონებია და მის ფუნქციებს ასრულებდენ სცენის მოყვარეთა წრეები.

დღეს ამ თეატრს ჰყავს მთელი რიგი ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობები და მისი დადგმებიც იძლევა სრულ იმედს იმისას, რომ ის შესძლებს თეატრალურ ხელოვნების იმ სიმაღლეზე ასვლას, რომელსაც მისგან მოითხოვს სოციალისტურ მშენებლობის მიმდინარე ეტაპი. ოსეთის სახელმწიფო თეატრი გაანალდებს მისდამი წაყენებულ მოთხოვნილებებს, თუ კი ის თავის ყოველდღიურ მუშაობაში სწრაფად მოიმარჯვებს სოციალისტურ რეალიზმის შემოქმედებითი მეთოდს.

სტალინირის კულტურის სასახლეშია გამართული აგრეთვე სამხატვრო გალერეია. აქ თავმოყრილია საუკეთესო პროდუქცია იმისა, რაც ოს მხატვრებს ფანქრისა და ფუნჯის საშუალებით შეუქმნიათ.

თანამედროვე მხატვრებთან ერთად **(ტუგანოვი, ზასეევი, ხოხოვი)** აქ წარმოდგენილია მე-19 საუკუნის ოსური სახვითი ხელოვნების საუკეთესო მოგიკანი, იგივე **კოსტა ხეთაგუროვი.** ეს ადამიანი მართლაც სინთეტიურ ნიჭის პატრონი ყოფილა, რადგან კოსტას ტილოები მნახველზე სტოვებენ ისეთივე ღრმა და განცდებით დატვირთულ შთაბეჭდილებას, როგორც მისი სევდით სავსე ლირიკა.

სახვითი ხელოვნების რენესანსი სამხრეთ - ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან არის დაკავშირებული და თანამედროვე ოს მხატვრებს შორის მოწინავე ოსტატია **მახარბეგ ტუგანოვი,** რომლის შემოქმედება მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხასიათდება მხატვრობის სხვადასხვა სკოლის გავლენით. 1901 წ. ტუგანოვის შემოქმედება რეპინისა და რეალისტების გავლენის ქვეშაა მოქცეული, 1905 — 1907 წ. წ. მიუნხენში ყოფნის დროს ის მოექცა ნეო - იმპრესიონისტების იდეურ - მხატვრულ პრინციპების ტყვეობაში, 1907 წლიდან დაბრუნდა სამშობლოში და აქ მისი თემატიკა მოემწვდა უმთავრესად საყოფა ცხოვრებო სინამდვილის ფარგლებში. 1920 წლიდან მუშაობდა „კავროსტა"-ში, როგორც პლაკატისტი, ხოლო მის შემდეგ 1930 წლამდე დაჰყო ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც ის იძლევა მრავალ ტილოებს სამოქალაქო ომების ცალკეულ ეპიზოდებზე და საკოლმეურნეო და სოციალისტურ მშენებლობის ცალკე უბნებზე.

1931 წლიდან ამხ. **ტუგანოვი** მუშაობს სამხრეთ-ოსეთში და ამხნიდან დღემდე მის მიერ მოცემული პროდუქცია მთლიანად გამოფენილია კულტურის სასახლეში. ტუგანოვის თემატიური დიაპაზონი მართლაც ფართოა (დაწყებული ოსთა ზნე-ჩვეულებების დეტალებით და გათავებული სამოქალაქო ომის თემებით).

მ. **ტუგანოვის** ხელმძღვანელობით მუშაობს სტალინირში არსებული სამხატვრო სტუდია, სადაც იზრდებიან სახვითი ხელოვნების ფრონტის არა ერთი და ორი კვალიფიციური მუშაკები. მახარბეგი ისეთივე დაულალავ მუშაკია პედაგოგიურ ფრონტზე, როგორც საკუთარ შემოქმედებაში. ის განსაკუთრებულ მორალურ პასუხისმგებლობით ეკიდება ამ ფრიად სერიოზულ მოვალეობას და კარგად აქვს შეგნებული ის როლი, რომელიც მან, როგორც მხატვარმა და აღმზრდელმა უნდა ითამაშოს ოსეთის კულტურულ აყვავების საქმისათვის საჭირო ახალ კადრების გამოჭედვის საქმეში. სწორედ ამით აიხსნება ის სიყვარული და პატივისცემა, რომელიც მან სამხრეთ -ოსეთის მშრომელთა შორის დაიმსახურა.

**ტუგანოვის** შემდეგ ყურადღებას იქცევს ახალგაზრდა მხატვარი **ხოხოვი ასლანგირეი,** რომელსაც დამთავრებული აქვს ლენინგრადის სამხატვრო აკადემია 1920 წელში. მისი ტილო „ძველი ცხინვალი" აშკარად მოწმობს, რომ ის დიდი შემოქმედებითი ნიჭით არის დაჯილდოებული.

მხატვართა ნორჩ თაობიდან გამოირჩევა **ალექსანდრე ზასეევი,** ტფილისის სამხატვრო აკადემიის მოწაფე. მისი თემატიკაა სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა ოსეთში ის განსაკუთრებით გამოირჩევა, როგორც საკლუბო მხატვარი — გამფორმებელი.

ჯერ კიდევ სავსებით არ გაშლილა **ცოტან გაზდანოვის** ნიჭი, რომელიც თვითგანვითარებით ავიდა კარგი გრავიორ - ოსტატის მაღალ საფეხურზე. „გაზდანოვი შესანიშნავ ეფექტს იძლევა კლიშეზე მუშაობის დარგში და აგრეთვე, როგორც ნიჭიერი პლაკატისტი.

ცხადია, მაინც აპოლოგეტიკა იქნებოდა თქმა იმის, რომ თითქოს სამხრეთ - ოსეთის სინამდვილეში კულტურულ შემოქმედებითი ფრონტზე წარმოებული მუშაობა მთელის თავის ფორმალურ - მხატვრულ შინაარსით აბსოლუტურად უპასუხებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც მას საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ - სამეურნეო სინამდვილე უყენებს. გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ოსეთის ხელოვნების ფრონტზე არსებულ ძველ იდეურ დეფექტების გამოსწორება მართლაც ბოლშევიკურ ტემპებით სწარმოებს, მაგრამ იგივე ითქმის



საძიებელი სამუშაოები საულელტეხილო ელექტრო - რკინის გზისათვის

განა ხელოვანის მიერ ოსტატობის მაღალ ხარისხისათვის ბრძოლის შესახებ? ცხადია, რომ არა სავსებით.

სოციალიზმის მშენებლობის სასიცოცხლო ინტერესები კი მოითხოვენ ხელოვნების ყველა დარგის მაღალ ხარისხს, მათი ოსტატობის სრულქმნას, რადგან **„გარეშე ამისა შეუძლებელია ხელოვნების საშუალებათა მიერ სოციალისტურ მშენებლობის გიგანტური გაქანების ასახვა და სოციალისტური ადამიანის ფსიხიკის გადაშლა".**

ეს უნდა ახსოვდეს ხელოვნების ფრონტის თვითეულ მუშაკს.

**მახარბეგი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უყურეთის არისტოკრატია

## ნიკო ლორთქიფანიძე

● ● ●

ასეთი იყო დაბა უყურეთი.

თითქოს მთელ მხარეს შეძახილი ჰქონდა მეჭურჭლეების უნარი—სოფლებისათვის სხვა სახელი მოენახათ—და ჩასცოდნოდნენ ისევ ამ საცოდავ უყურეთს.

იყო აქ „დიდი უყურეთი", „გორა უყურეთი", „გაღმა უყურეთი", „გამოღმა უყურეთი", „ზემო უყურეთი" და „ქვემო უყურეთი".

„დიდ უყურეთსა" და „გორა უყურეთს" რაღაც ნიშნები ჰქონდათ, რომ ერთმანეთში არ აერია კაცს ერთი მეორის უყურეთ გოჭებისთვის: დიდ უყურეთში იყო პატარა ხის ეკლესია, რომლის ყავრიან სახურავში ბუდობდა ყოველი ფრინველი, რომელსაც ვერც სამჭედლოს სუნი და ვერც ზარის რეკვა ვერ აშინებდა. გალავანს შიგ-გმული ჰქონდა სენაკიდან გადაკეთებული რაღაც სკოლისებური დაწესებულება, რომელშიაც წვერებ-ცანცარა მღვდელი სწავლას იწყებდა, ან, ბან, გან, დონით და „მამაო ჩვენო"-ს გაზეპირებით ამთავრებდა. დიდი იყო, მართლაც, „დიდი უყურეთი" დანარჩენებთან შედარებით.

მის პირდაპირ მდებარე „გორა უყურეთს" არ ჰქონდა ეკლესია და სახელგანთქმული იყო მხოლოდ მოშორებით მდებარე სასაფლაოთი, სადაც არც ერთს კუბოს არ მოუღწევია მთლიანად: ამოლესილი ლობიოთი ძალზე გამძღარი და ჭაჭარაში გავლილი ღვინით გალეშილი მოტირალნი მკვდრის სიმწრით მიართმევდნენ მიცვალებულს, რომ ჩამორჩენილი ჭირისუფლების მოთქმა-წივილით: „სად მირბიხარ, შვილო, მე თუ არ გებრალები, წვრილ ცოლშვილს როგორ ტოვებ ასე უპატრონოდ" მწუხარების მაგიერ სიცილს იწვევდა... კუბოში ერთხელაც შემდგარი ოთხი კაცი კი ერთმანეთს აქეზებდა: „მგეიარე, კაცო, ხომ უყურებ ყველამ თავს უშველა... არ ჩამოგვაგდოდა მხრებმა ამ ოხერმა!", სანამ რომელიმე მათგანი არ წაიფორხილებდა, და დაზიანებული კუბოდან მიცვალებული თუ არ გადმოკოტრიალდებოდა გასწორება-შეკეთებას მაინც მოითხოვდა.

კუბო ასე თუ ისე მაინც მიაგნებდა სოფლაჯს, მაგრამ მზიდველთაგან ერთი ორი ვერ მიადგებოდა სახლს, რადგან ღვინით გალეშილი თავი და სიმძიმით მოსვრილი მუხლები იქვე მიეცემოდნენ მწვანე ზეწარზე. მეორე დღეს ერთი მათგანი მაინც (თუ ორივე არა) ტრაბახობდა:

— წუხელი, ი საწყალი რომ დავასაფლავეთ, მოწევი... ვხედავ, შუაღამეზე მკვლავჯდომი დამწოლია გულზე და ეს ეს არის წამახრჩობს, მოვკიდე ხელი და გადავისროლე წყვდიადში.

— რაგვარი იყო თუ კაცი ხარ?

— ღამე იყო ვერ დავინახე. ქუც მეშინოდა, ღმერთთან სწორი, სჯობს,—თავდაბლა ამბობდა მობაასე.

— მაინც?

— ა, მაიმუნი ხომ გაგიგონია სწორედ იმისთანა—... და რადგან იმ კუთხეში მაიმუნი არავის ენახა, მაჯლაჯუნა წარმოუდგინათ ლეკვისოდენა არსებად, რომელსაც პატარა რქები აქვს, ბასრი ბრჭყალები, მოკლე კუდი და ცალისაგით მბზღლეტავი ბალანი.

— მთვრალი იქნებოდი და მოგეჩვენებოდა... შენიშნავდა ურწმუნო მეზობელი.

— ისე ძალლი და ლორი ჩააქცევდა თორღამა-ბოლურის (ეს იყო სახელი და მეტსახელი წინა ღამით გასვენებულის უფროსი ვაჟისა) მკვდარსა და (კოცხალს ჩვენ იმან კაი ღვინო დაგვალევია,.. ღავთვური კი არა, კეჭი მეწვებოდა შიშშილით.

ყველა ამ „ზედა", „ქვედა", „გაღმა" და „გამოღმა" უყურეთების გარჩევა კი ფეხით მკვიდრ პატრიოტებსაც არ შეეძლოთ, რადგან ძალიან ნაბიჯის გადადგმის შემდეგ „ზემო", „ქვემოთ" ხდებოდა და „გაღმა" იცვლებოდა „გამოღმით".

მაგრამ პატრიოტები მაინც ამაყათ ამბობდნენ:

— მე ქვემო უყურეთელი ვარ.

— ახლა გამოღმა უყურეთს ხომ ვერ შეადარებ...—უპასუხებდა მეორე.

— კაი მოგცესთ ღმერთმა, კაი ქვეყნის შვილები თქვენ ყოფილხართ. დაცინვით შეუტევდა ზემო უყურეთელი და ადიდებულებდა ან ერთს ან მეორეს, რით დასცინოდა მათ მესამე. გაუგებარი იყო, როგორც მამალი ინდოურის მედმიდე ფიფხუ რა, მაგრამ რაც ერთიანებდა ყველა ამ შვიდ სოფელს, ეს იყო განუწყვეტელი, მუდმივი წყევლა-კრულვა და დაცინვა საკუთარ მდინარის—ამასაც უყურელა ერქვა.

როდესაც სიმინდით დატვირთული ურმები ჭრიალით გაემგზავრებოდა შორს, სხვა მდინარეზე, მდგომ წისქვილში, ხან ერთი და ხან მეორე მეურმე თითქოს ურმის ჭრიალის ხმას აყოლებსო დაიწყებდა:

— აბა, თუ ძმა ხარ, გაგიგონია ასეთი რამე? სვანეთში ვყოფილვარ პატარ-პატარა ჩქერებია, ზედ ყოველ მოსახლეს მიუდგამს პატარა წისქვილი და ფქვავს, რამდენიც დასჭირდება ოჯახს. ფოთში როონი ზღვისა ჰგავს, ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირს ვერ მიაწვდენ თვალს—აქაც არის წისქვილი, უფრო დიდი, უფრო კარგი მარა წისქვილია... ისე ხომ ყოველ მდინარეზეა წისქვილი და ხალხი ოც-ოცი ვერსტობით არ მიდის ერთი წლის საჩირო რომ დაფქვას, ჩიტანს დედაკაცი ერთ-ორ ჯამს და გათავდა, თუ დასჭირდა მეორე დღეს კიდევ ჩავა—ფეხი არ გაუსივდება...

— წყეულია, ძმაო, წყეული ეს ჩვენი უყურელა.

მართლაც, ეს მდინარე თითქოს ბოროტი სულიაო, ყველა შვიდი უყურეთის შესაწუხებლად და გასაწამებლად იყო გაჩენილი. სწორედ იმ დროს, როცა პაპანაქება დადგებოდა და მოწყურებული საქონელი მისკენ მისცემდა თავს, როცა ყურმამოჭრილ ბალახს მდინარიდან ჩამოჭრილი სიგრილეც კი გაახარებდა, როცა ფოთოლებ შეკეცილი ტირიფი მწუხარეთ უძებდა ფესვებითა და დახრილი შტოებით წყალს (ყვარს—უყურელა სადღაც ჯანდაბაში დაიკარგებოდა, და თითქოს განგებ მოიტანათ გახურებული რიყის ქვა ლაპლაპებდა მზეზე. გაზაფხულზე კი მოედებოდა ისედაც ჭაობიან ნაპირებს და მხვნელს მანამდი არ გაადგმევინებდა ხელიდან თესლს, სანამ სხივები არ დაიკარგებოდა, რომ სიმინდი მოასწრებს ამოსვლას, გაზრდას და დამიწყებას, თუ ვინმე თავზე ხელაღებული ტიგით მოინდომებდა მთელი ზამთარში ხელების გაყინვით, ფილტვების ანთებით მოჭრილ ხე-ტყის გატანას, ჯერ ისე მიზოზინობდა, რომ მოთიბენების ყოველ მხარეს გამოლევდა, მერმე სრულიად მოულოდნელ ადგილსა და დროს დაიწყებდა ცრბოეტივით ტრიალს და ბოლოს იმასოდა უფრო მზაკვრულ ხერხს—ძიასილავდა ისეთის სისწრაფით, რომ სირბილით წასული მეტივეები, როცა უკან დაბრუნდებოდნენ ხარ-ურმით, ვეღარ მიაგნებდნენ ადგილს, ვეღარ პოულობდნენ ხე-ტყეს. შემოდგომაზე, როგორც კი ოდნავ გაიმართავდა წელს, უსათუოდ მიადგებოდა რაღაც ტალახიან, ოღრო-ჩოღრო გზას, აანგრევდა ბოგირებს, ავსებდა ჭაობებს, რომ გატეხილ ყავებში ვეღარავინ ერთგვა საბილიკოთ გადებილ საქონელს. მხოლოდ შუა ზამთარში ოდნავ დაუცდენებოდა მდინარეს: დაიწმინდებოდა, ჩადგებოდა კალაპოტში, ბუტბუტებდა მდინარისათვის შესაფერ რაღაც ჰანგს, მაგრამ რა? ამ დროს წყალს ისედაც არავინ ეტანებოდა... მაგრამ აქაც ადაიანისთვის უფრო იყო რაღაც სუნი დამყვებოდა, და სიმღერაში მოისწრაფდათ მხოლოდ პირუტყვებს, ადამიანი კი ვერ მოიკლავდა წყურვილს, მოკლეთ უყურელა უფრო ბალღამი იყო, ვიდრე ბალასინი.

უყურელას პირად ცხოვრობდნენ გლეხები: სიეკლესიო, სამოხასტრო, სახელმწიფო, დროებით ვალდებულები და თავისუფალნი. მიწა მათ იყო უფრო ნოყიერი, მათ ზღვით ხაზი დაეკავებიათ აზნაურებს, რიცხვით, მგონი, გლეხების ოდენა იქნებოდნენ და სულ ზღვით, კოლტოხებზე, ცხოვრობდა ოთხიოდე მოთავადო რაღაც ოჯახი, განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის იყო, რომ, როცა ვისიმე მოტყუება და თავის შებრალება უნდებოდათ გლეხები ამბობდნენ:

— ჩვენ, ბატონო, რა... ბნელი ხალხი ვართ, თქვენსავით კი ვერ...

აზნაურები ამბობდნენ:

— ხომ იცი, ბატონო, სოფლის აზნაურის ამბავი... სახელია მარტო ერთი, ქვეითიშობილს გვეძახიან, თვარა...

თავადები სოფელში არ კი აცხადებდნენ თავადობას, ატყობდნენ, რომ თავადობის გასაწევად წელი არ შესწევდათ, თუ ჯარში, დღეობაზე, რომელიმე მათგანს ჩხუბი არ მოუვიდოდა; მაშინ ყველა ერთმანეთს მხარს დაუჭერდა, მაგრამ ასე იქცეოდნენ გლეხებიც და აზნაურებიც.

აქაური თავადი მხოლოდ, როცა ნათხოვარი ცხენით დაბა უყურეთს გაცილდებოდა და ქალაქში ჩავიდოდა, მაშინ დაიკიდებდა ქარქაშ გაცვეთილ ლეკურს, ვაქსით გააწმენდინებდა ლითსახლისს მაღალყელიან წაღებს და გავიდოდა „გულვარდში" სასეირნოთ—აქ არ ჩამორჩებოდა სხვას, მათ შორის ყველაზე თვალსაჩინო იყო თავადი მიხეილი (მეტსახელად „ფორხილა"), მაგრამ თავადობით თითქმის არავინ მიმართავდა, და ეს იყო, რომ გულს უხეთქავდა.

— როგორ გიკითხო, მიხაკო, ოჯახით, ჯალაბით—მიესალმებოდა ქალაქში ვინმე ნაცნობი,



*) ნაწყვეტი სატირიდან.

— გახლავართ თქვენგან ჰოძულებული— ოდნავ ჩაიფურჩხილებდა მიხეილი, მოშუ-ლა ამ მაზოლებმა დაუმახინჯებდა იგი. მაზოლი თავადობის ერთ ნიშნად მიაჩნდა. ლიბერალური საბუთიც მოეძებნა ამ მოსაზრებისათვის, ვისაც მაზოლი აქვს, უეჭველია, ახალ წლის ატარებს, და ვინც წელს ატარებს, იმას აქვს მაზოლი და არა იმას, ვინც ფეხშიშველა დატლიკინობს.

— მინდოდა, შენ ნუ მომიკვდე მოსვლა, ჩემი დაიკო მენახა. მარა შორსა ხართ. გზა არ არის.

— შეგვატყობინეთ, ერთი, და ისეთ ბედაურებს გამოგიგზავნით, რომ სულ თოხარიკით მოგაფრენდენ ჩემთან—წელშიაც არ გაინძრეოდი... ერთი ბაზა გამოვიდა, მაინც შენთვისაა სწორედ გამოჭრილი.

— უნდა მევიდე ერთი, უნდა მევიდე, ჩემი მეუღლეც ძალიან მეჩვეწება.

— აბა თქვენ იცით, ვნახოთ ასრულებ დაპირებას თუ არა.

საბედნიეროთ სიტყვას არავინ ასრულებდა, და ნაოცნებევი რაშები უნდოდა გაჩნდებოდა და უნდოდა გაჰქრებოდა მიხეილის თავში და ენაზე.

ბაღიდან მიხეილს სადილზე წაიყვანდა მობაასე და აქაც ძველი მუსაიფი გრძელდებოდა.

— თქვენ, ქალბატონო, ჩემი მეუღლის ცხენს მოგართმევ „ინგლისელ სიდლოს", ზედით, ახალა ჰიყიდეთ—იაფად შეგვხვდა და ვერ უთხარი უარი თქვენს რძალს, მოგეხსენებათ, სოფლის მცხოვრები ცხენოსნობას ვერ მოჩჩები...

— რა თქმა უნდა...

— ვენახები რას გიშვება?

— წრეულს დაიკლო... წარმოიდგინე, სულ ორმოცი საპალნე ჩავასხი... მარა კაი ქვა, ღვთის წინაშე...

თუ ნაცნობი არსად შეხვდებოდა, მიხაკო შეძვრებოდა ღიასახლისის დაბალჭერიან ოთხაში, მიუჯდებოდა თავის მუდმივ სატრფოს—ეკას.

— აი შე დაუბერებელო ვაყა, შენ! თუ ასე გიყვარვარ, რათა არ ჩამოდიხარ ხშირად?! ეკაკლუცებოდა ორმოცდაათი წლის დედაბერი და აწოდებდა ამოლესილ ლობიოს და ლუდს, რომელიც აგრეთვე დიდ არისტოკრატიულ სასმელად იყო მიჩნეული ამ წრეში.

და საღამოს ისევ დასეირნობდა უყურეთელი თავადი „ბულვარდში" და გულმოდგინეთ ჰკრებდა ცნობებს გუბერნატორზე, მარშალზე, ყოვლად სამღვდელოებაზე და ბანკის თავმჯდომარეზე, თითქოს მათთან რაიმე საქმე ჰქონდეს.

მაგრამ კაკალუცა ცაი ორ დღეში გამოულევდა მიხაკოს მანეთიანებსა და აბაზიანებს და განთიადზე, როცა ქალაქში ყველას სძინავს, მიხეილი მიხვეულ-მოხვეულ შესახვევებით, რომ არავის დაენახა, მიიპარებოდა სოფლისაკენ; განსაკუთრებით დასამალავი იყო უნაგირზე შემოკრული ვეებერთელა ხურჯინი, მხოლოდ ნახევრად ავსებული, ორი გირვანქა ფარვით, ხუთიოდე ტარანით, ორი შეკვრა ასანთით, მარილით, ნავთით და რამდენიმე ადლი ჩითით. ეკას უკანასკნელი ალერსი და დანჯღრეული ნალის „მწყობრი რაწკუნი", თვლემას ჰგვრიდა მხედარს და ქალაქური ცხოვრების მშვენიერებაზე ოცნებას უძრავდა.

მაგრამ მოხდა ამბავი საკვირველი, იშვიათი და გამაბედნიერებელი.

მიხეილის სახლის უკან გზის ნიადაგი უეცრად მაღლდებოდა და ზევით ბუჩქნარი, ტყე, გვიმრა და ანწლი ერთმანეთში ირეოდა. ყოველწლიურად აქ სჭრიდნენ შეშას, ხარდახს, წნელს, და ჩეხდენ, სხეპავდენ და თლიდენ სწორედ კიდეზე, რომ დამზადებული მასალა აქვე გადმოეყარათ, ხოლო ფოთოლი, ნაფოტი და ათასი ბალახბულახი იქვე რჩებოდა კორტოხის ნაპირზე. ქალბატონმა მაკრინემ მოისაზრა, რომ ამდენი წლის დანალპობ ფოთლებსა და ბალახში, ნესვი გაიხარებდა, მით უმეტეს, რომ აქ მუდამ ეონავდა რაღაც წყალი, სასმელად უვარგისი, მაგრამ ღორების ნამდვილი კლუბი და საქონლის ზოგჯერ გულის მომბრუნებელი.

მაკრინეს მოსაზრება გამართლდა. ნესვი მოედვა იქაურობას და სუნი მოეფინა შვიდივე უყურეთს.

მაკრინე უცდიდა მიხეილს, რომელსაც, უეჭველია, ეკას მშვენიერება არ უშვებდა ქალაქიდან და ერთგული ცოლი კმაყოფილდებოდა საუკეთესო ნესვების სურნელებით და საშუალო ნესვების გემოთი. მაგრამ ღორებმა ძვაგვარად გასაჯეს. (ანარხისტები იყვნენ, ალბად)—თუ მიხაკო-ფორხილა ეკას ბურჯგნის, ჩვენ ნესვები გადავბურჯგნოთო, ჰინაიდან მართალია ჩვენ არ გაგვიზდია ნესვები, მაგრამ არც ეკა არის მისი გამოფუჩქვნილიო.

როგორც ყოველთვის ახალგაზრდობამ იდეა თავზე საქმის დაწყება—ოთხიოდე გოჰი მიადგა ბაღჩის ლობეს; შეუარეს, შემოუარეს და ერთი გოჰი გადაგდეს თითქოს შემთხვევით ლობეში, მორთო საშინელი ჭყივილი, მაგრამ უკან დახევის მაგიერ სულ წინ მიიწევდა. ჭყვირილი საერთო ალყის შეტორტყმისა და ეიერიშების მიტანის ნიშნად გადაიქცა და შვიდივე უყურეთიდან დაიძრა ნიჩქა-წიწვეტილი, გამხმარი ღორთა სამეფოს ლაშქარი, რომელსაც ისიც კი არ მოსწონდა, რომ გასაგრილებელი კლუბი წაართვეს და ასეთ დაცინვას ხომ მაინც ვერ მოითმენდა რომ ნესვის სურნელებით აღიზიანებდენ და მათ შვილებს ასე უგულოთ, უღვიერათ ქანჩს უჭერდენ.

ლობე წამში აღებული იქნა. პირველმა რიგებმა იგემეს ნამდვილი, მწიფე, სურნელოვანი ნესვი, შემდეგებს დარჩა უმწიფარი, დაგვიანებული, ხოლო ზოგიერთს ერგო მხოლოდ ნესვის ფოთოლი და ძირები, როცა ტახები შევიდენ, იქ დახვდათ მხოლოდ აჩიჩქნილი მიწა და ნესვის ორიოდე ქაქალი. სუნი მაინც იფრქვეოდა. ნეზვები და გოჭები ტრაბახობდენ, თუ რა ნეტარება განიცადეს; ტახებმა მოინდომეს მიწიდან ამოეგლიჯათ ეს ნეტარება, ქვესკნელიდან ამოეთხარათ ამ სუნისა და გემოს მიზეზი და აგორებდენ ბელტებს, ათიოდე წლის წინათ აქ დარჩენილ ხის კუნძებს, ფესვებს და მოლის წააწყდენ ქვას; ქვას წაესია ყველა, თითქოს ამ ქვის ქვეშ ყოფილიყოს მთელი სანესვეთი მომწყვდეული. ქვაც გაკავდა. არ ნძრდებოდა, მაგრამ ოციოდე დრუნჩის ცოცხალმა ბერკეტმა დასძლია ქვას და გადააყირავა... და იფეთქა წყალმა, . წყარომ; წყაროც არ ეკადრებოდა, არამედ ღელე და ისიც მოდიდო ღელე.

მეორე დღეს აქ მოსული მაკრინე ერთი შეჰკრთა და შეკვიწილდა, ერთი გაიფოთრა და იკივლა, მაგრამ მასთან მოსულ გადიას უკვე მიმოეცლო იქაურობა, დაენახა ღელე და დაუძახა:

— რას ბრძანებ, ქალბატონო, ღმერთს მადლობა უთხარი—თქვენ თავზე ბედნიერებაა.

— რავა, რას მეუბნები, დევილუპე ქალო... რა მივართვა ახლა ჩემს მიხეილს, მისი ჭირიმე...

— რა გენესვება, გადირიე თუ?! აქ წისქვილზეა საქმე, მთელი ოჯახის ბედნიერებაზე... საშვილიშვილო ამბავია, ნუკი ხუმრობ. ორი ბარი რომ დაარტყას კაცმა მთელი ეს წყალი სახლის უკან ჩამოგივარდება.

ეხლა მაკრინემაც დაინახა... უცბად მიხვდა, რა ამბავიც მომხდარიყო, მაგრამ ენა რომ გამოეწმინდა და სხვებისათვის არ შეემჩნევინებინა, მაინც წაიჭაჭანა ერთი-ორი...

აქედან დაიწყო მთელი ოჯახის გარდაქმნა, ბედი და უბედურება.

ერთთვალიანი წისქვილი მართლაც მოეწყო, და ოც საჟენზე ჩამოვარდნილი წყალი მეორე თვალსაც ეყოფოდა...

მიხეილს უეცრად გამოეცვალა ლაპარაკის კილო, ხასიათი...

— ჩემო ელიზბარა, ამდენი პატივი გეცით, რომ წისქვილი ცხვირის წინ გაგიკეთეთ და მეათედის მოცემაზედაც უარს ამბობთ?! ბესოია—„თავდიდა" ხომ არა ვარ, რომ ორი ბათმანისათვის დაგიჯდე აქ მთელი დღე.

ერთხანს თვითონ მეწისქვილეობდა, მაგრამ მალე იუკადრისა და საბედნიეროთ იშოვა ყრუ-მუნჯი, ცოტათი ჭკუაზედაც თხელი პეტრიკელა, რომელსაც იმდენი ჭკუა მაინც დარჩებოდა, რომ რაც არ უნდა წინააღმდეგობა გაეწია საფქვავის მომტანს, ყოველ ათ ხვიმირში გადარწყულ ბათმანზე ერთ ბათმანს სამინდეში ჰყრიდა და ჯამაგირად კი წელიწადში თხოულობდა ორ ქალამანს, სამოც ბათმანს სიმინდს და ერთ ფუთ ნავთს. პეტრიკელა ბედნიერად სთვლიდა თავს; რადგან დღე არ გავიდოდა, რომ ვინმეს ან ყველი, ან ჭიქა ღვინო არ ეძლევნა მისთვის დაფქვის დასაჩქარებლად; და ათასამდე კომლი რამდენს არ იგინებოდა ჩვეულებრივი ნაოცალის მაგიერ მინდათ ნათალი მიეცა, მაინც ყოველი შეჭმული ათი ლუკმის შემდეგ, ერთი ლუკმა მიხეილის ოჯახში ჰქონდა მიტანილი; ყოველ ათი ჯამ ქატოზე უყურეთის საქონელს, წიწილს ერთი ჯამი მიხეილის საქონლისათვის დაეთმო... მხოლოდ ფრინველები და ცხენები იყვნენ ამ გადასახადს თავდახწეულნი... მაგიერათ გემო გაეხსნა მიხეილს. იგი დამშვიდებით ვერ უყურებდა, რომ ღომი და ქადის-ქადი გადარჩენილია ხარჯს და წისქვილის ქვემოთ, წისქვილიდან ჩამოდენილი წყალით მოაწყო საცეხველი, რომელმაც ქალები გაანთავისუფლა ილაჯ გამწყვეტ კაკვის ბრაგუნიდან, მაგიერათ პურეულის უკანასკნელი წარმომადგენელიც ღალის ქვეშ მოაქცია.

პირველმა ორმა წითელმა თუმნიანმა, რომელიც მინდამ ხელში ჩაუგდო მიხეილს, მთელი ოჯახი შეაძრია და უხერხულობაც კი დაბადა; ესენიც, როგორც წინანდელი მანეთიანები და საშაურიანები ეკას ყოველთვის კაკალუც, ეხლა უკვე ათრთოლებულ ხელში გადავიდა. მაგრამ ეს იყო უკანასკნელი... წითელ თუმნიანებმა დიდი ზღვარი დასდვეს გამდიდრებულ თავად მიხეილსა და ეკას შორის... ეკას ადგილი ვიღაც პაშამ, წითელთმიანმა მკერავმა ცეტრუმელმა დაიჭირა.

# ალექსანდრე შირვან-ზადე

ტ. ტ—ძე

ივნისში სომხეთის გამოჩენილ მწერლის ალექს. შირვან-ზადეს შეუსრულდა 75 წელი დაბადებიდან. საბჭოთა კავშირისა და ა.-კ. რესპუბლიკების პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ მიუხედავად წელთა სიმრავლისა მცხოვანი მწერალი მაინც ერთი აქტიური ძალაა საბჭოთა მწერლობაში და შეუწყვეტელი პათოსით განაგრძობს შემოქმედებას. თვითონ შირვან-ზადე თავის ბუნების დაუდგრომლობას და ახალ გამარჯვების სურვილს მიაწერს სოციალისტურ მწერლის ბობოქარ ეპოქას, მწერლის მეორედ დაბადებას. იმას, რომ ხუთწლედის უღელტეხილზე ხედავს საბრძოლო საბჭოთა სომხეთის კულტურულ აღორძინებას.

ალექსანდრე შირვან-ზადეს ცხოვრებისა და მწერლობის განვლილი გზა ასეთია: შირვანი დაიბადა 1858 წელს შემახაში. ერთი წელი არ გასულა მისი დაბადებიდან, რომ ეს ქალაქი საშინელმა მიწისძვრამ შთანთქა. ბავშობა შირვანმა გაატარა სიღარიბეში, ჯერ კიდევ გამოუცდელი ბავში იძულებული იყო გადასულიყო ბაქოში და ეშოვა სამსახური, რომ ერჩინა გაჭირვებაში ჩავარდნილი ოჯახი.

ამ დროს ბაქო იღვიძებდა ახალი ცხოვრებისათვის და ხდებოდა ამიერ კავკასიის სამრეწველო ცენტრად. და როგორც პარიზი ემილ ზოლასთვის, ისე ბაქო ხდება შირვან-ზადესათვის ოსტატიც და ჯალათიც.

უეჭველია ბაქო ახალგაზრდა ყმაწვილზე წარუხოცელ შთაბეჭდილებას დასტოვებდა. აქ პირისპირ ებრძოდა ერთმანეთს ფუფუნება და სიღარიბე, განცხრომა და შიმშილი, და ყველაფრის წყარო კი იყო ნავთი, რომელიც სჩქეფდა დედამიწიდან. ერთი კლასის გასამდიდრებლად, ხოლო მეორე კლასის დასაჩაგრავად და საექსპლოატაციოთ. ახალგ. შირვან-ზადე ტფილისის ჟურნალ. გაზეთებს აწვდის პატარა ნარკვევებს ბაქოს ცხოვრებიდან, მალე „მშაკში" იბეჭდება მისი მოთხრობა „ხანძარი ნავთის ქარხანაში", რომელმაც მიიქცია საზოგადოების და კრიტიკის ყურადღება.

ამის შემდეგ შირვან-ზადე ხდება პროფესიონალი მწერალი — უმთავრესად სწერს დრამებსა და რომანებს.

ყველაზე მეტი ყურადღება მიიქცია მისმა დრამამ „პატიოსნება".



ალექსანდრე შირვან-ზადე

(დაბადებიდან 75 წ. შესრულების გამო)

რომელიც ქართულ სცენაზეც ბევრჯერ დადგმულა და რომლის თარგმანიც დაბეჭდილია ჟურნ. „დროების" დამატებაში.

1905 წელს შირვან-ზადე გაემგზავრა პარიზში, სადაც იცხოვრა 1910 წლამდე. სწავლისა დახარბებული მწერალი დაეწაფა ევროპის კულტურას. სწავლობდა სორბონაში, უსმენდა გამოჩენილ მეცნიერებს, როგორც ოლარია და ემილ ფაგე. 1910 წელს დაბრუნდა კავკასიაში, შემდეგ წელს მაისში ტფილისში და ბაქოში გადახდილ იქნა მის 30 წლის მწერლობის ღირსანიშნავი იუბილე.

1919 წელს ისევ მიემგზავრება ევროპაში, იყო ოსმალეთში, კილიკიაში, სირიაში, ეგვიპტეში, იტალიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1926 წელს პარიზიდან ბრუნდება საბჭოთა კავშირში.

პარიზიდან მან ჩამოიტანა პიესა „მორგანის ნათლიმამა", რომელშიაც გამოყვანილია გზააბნეული სომხუ-ხური ემიგრაცია, მისი გახრწნა და დაცემა. უცხოეთში დიდხანს ყოფნა იყო ალბად მიზეზი, რომ შირვან-ზადე იქ მეტად პოპულიარულია, თითქმის ყველა მისი ნაწარმოები გადათარგმნილია ევროპიულ ენაზე. მაგრამ ძირი შირვან-ზადეს შემოქმედებისა უმთავრესად ამიერ-კავკაიის გარემოა. თავის რომანებში ის ეხება ბაქოს ცხოვრებას და სამრეწველო ქალაქის ზრდის ფონზე აჩვენებს ბურჟუაზიის ჩასახვას და კლასთა ბრძოლის გამწვავებას. საერთოდ შირვან-ზადე საუკეთესო წარმომადგენელია სომხურ მხატვრულ მწერლობაში რეალიზმისა.

ბევრ შემთხვევაში ის ენათესავება ეგნატე ნინოშვილს, მხოლოდ აკლია ის გამძაფრებული კლასიური ინსტინქტი რომელიც ნინოშვილს, გაარჩევს ყველა დანარჩენ მის თანამედროვე მწერლებისაგან, რუსეთშიაც კი.

შირვან-ზადე უფრო ქალაქის პოეტია. მან იცის ურბანიზმის საშინელი შინაგანი, დიდი ქალაქის ვიზიონერება.

მას უფრო ეხერხება ქალაქის პულსის გადმოცემა, მაგრამ არა ნაკლებ ნიჭიერათ აქვს მას აწერილი სოფელი, მეფის დროინდელი მივარდნილი პროვინცია. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია „ბოროტი სული", სადაც მოცემულია სოფლის ხალხის ცხოვრება სიბნელეში და ცრუმორწმუნეობაში.

როგორც სომხეთის კრიტიკა აღნიშნავს, ამ შემთხვევაში მას ტოლი არ ყავს სომხეთის მწერლობაში.

თუ გამოჩენილმა სომხეთის რომანისტმა რაფიმ სომხურ მწერლობაში დაამკვიდრა რომანტიზმი, შირვან-ზადე მამამთავარია სოციალურ ფსიქოლოგიურ რომანისა, ბევრი მისი მოთხრობა ნათარგმნი არის ქართულათ.

სამი წლის წინად გადახდილ იქნა მისი შემოქმედების 50 წლის თავი, მას მიენიჭა სახალხო მწერლის სახელწოდება. ამ იუბილემ მიიღო საკავშირო ხასიათი, იუბილე გადახდილ იქნა ბაქოში და ტფილისშიც და ატარებდა ინტერნაციონალურ ხასიათს.

ეს იმითაც აიხსნება, რომ შირვან-ზადე ძალიან დაკავშირებულია, როგორც ბაქოსთან, ისე ტფილისთან — სადაც მან ქალაქი გაუხდია თავისი შემოქმედების ობიექტათ, თავის ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ცხოვრების ჭაბრაკი", რომელიც ეხლახან დასწერა და, რომელიც გამოცემულია რუსულადაც, შირვან-ზადე დაწვრილებით აწერს თავის თავგადასავალს.

ამჟამად ალექსანდრე შირვან-ზადე ითვლება სომხეთის საბჭოთა მწერლების ორგკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეთ და 23 აპრილის ცეკას ისტორიული დადგენილების ნიადაგზე აწარმოებს მეტად ნაყოფიერ მუშაობას და თავის გარშემო იკრებს საბჭოთა მწერლობის ახალ კადრებს.







# კ ა ხ ე თ ი

## კოლიო აგრამია

დილით გავშორდი ულელტეხილებს,
რომ შენ მხარეო ისევ გიხილო.
და ეს მაღალი მზის ელვარება
იყალთოს მთებში გადავიჩრდილო.

სად შემოჭრილხარ ულევო სივრცევ,
გარშემორტყმული მთათა ჯარებით!
სად დაფენილხარ—ხავერდოვანო,
ამწვანებული ტყით და ზვარებით.

საით მოსულხარ დაუხატავო,
ასე წარმტაცო, მხარევ მზიანო—
აქედან, ვიდრე შამილის მთები
ველო გაშლილო, ალაზნიანო.

შემოგრილვევია მკერდზე ჯავშანი
და მუზარადი—ვით არტახები.
არხით გალხობილ ყამირს აპობენ
შემოსეული რკინის ტახები.

როგორ შეცვლილა შენი ელფერი
უხვო, სავსეო პურით და მზითა.
შენი აწმყო და შენი წარსული
მიდიმოდიან სხვადასხვა გზითა.

მე შენსა მჭვრეტელს, შენი დიდება
და უკვდავება დამეჯერება,
შენ შთამაგონებ: ჩემი მარჯვენით,
თუ ლექსი კიდევ დაიწერება.

1933, მაისი.



ჩელიაბინსკის ქარხნის ამუშავების დღეებში სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანამ გამოუშვა პირველი საცდელი მუხლუხოვანი ტრაქტორი.



ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის ტრაქტორი № 18—კომკავშირელთა საჩუქარი ქარხნის ამუშავების დღეს.

ლევის განმავლობაში იმის მაჩვენებელია, რომ ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის მუშებმა ბოლშევიკურად და წარმატებით გაშალეს ბრძოლა მექანიზმების ასათვისებლად უმოკლეს დროში.

ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნის ამუშავება საბჭოთა კავშირის მშრომელთა უდიდესი გამარჯვებაა, ეს არის უდიდესი გამარჯვება პარტიის გენერალური ხაზის, უდიდესი გამარჯვება იმ საქმის, რომელსაც ლენინის პარტია აკეთებს ამხ. **სტალინის** მეთაურობით.

თავის დროზე ლენინი ოცნებობდა 100.000 ტრაქტორზე, რომლებიც გარდაქმნიან სოფლის მეურნეობას. ამხ. **სტალინის** მეთაურობით პარტიამ სინამდვილეთ აქცია ლენინის ეს ოცნება. ორი ასეული ათასი ტრაქტორი გუგუნებს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მინდვრებზე, ცვლის სოფლის სახეს, ხორცსასხამს ამხ. **სტალინის** მიერ დასმულ ამოცანას — ყველა კოლმეურნეები შეძლებულებად გადავაქციოთ.

„წითელი პუტილოველით" — სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნისაკენ, სტალინგრადის ქარხნიდან — ხარკოვის სატრაქტორო ქარხნისაკენ, ხარკოვის სატრაქტორო ქარხნიდან — ჩელიაბინსკის გიგანტამდე — ასეთი ბუმბერაზული გზა გაიარა ჩვენმა სატრაქტორო მშენებლობამ სულ რამდენიმე წლის განმავლობაში, გზა უდიდესი მიღწევების და გამარჯვებების.

# არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში

ს. ხუნდაძე

## 1

არსენა ოძელაშვილი ისტორიული პიროვნებაა. ჩვენმა ისტორიულმა წარსულმა მრავალი გმირის სახელები დაგვიტოვა; მრავალი იქნა შემკობილი და ცამდე აყვანილი, როგორც ისტორიულ დოკუმენტებში, ისე ლექსებში. მაგრამ ამ რიგებისაგან არსენა, როგორც ისტორიული ტიპი არსებითად განსხვავდება, როგორც თავისი სოციალური შთამომავლობით, ისე თავისი „საგმირო საქმეების" შინაარსითაც. პირველ შემთხვევაში გაბატონებულ **ფეოდალურ არისტოკრატიის შთამომავალნი** ხდებოდენ გმირებად და პოეზიის ქების საგნად, მათი საგმირო საქმეები გამოიხატებოდა უმთავრესად ან მოზღვავებულ მტერთან რაინდულ ბრძოლაში, ან თავისი ფეოდალური საბატონოს გმირულად დაცვასა და სხვა ფეოდალთან დაუდეგრებულ ბრძოლაში, არსენას ისტორიული რაობა ამის საწინააღმდეგო მოვლენას წარმოადგენს: შთამომავლობით **იგი ყმა გლეხის შვილია,** ხოლო მის საგმირო საქმენი სოციალური ბრძოლის, წოდებათა შორის წინააღმდეგობის ფონზე იშლება, არსენა ბატონყმობის მებრძოლი გმირია, ხალხის თავისუფლებისთვის თავდადებულია, მისი ინტერესების დამცველი. ფეოდალურ-სამხედრო ფონზე არის ახსნილი, მეორე—სოციალური ბრძოლის კლასიური წინააღმდეგობის ეპოქის გვერდით. პირველში **ბატონი ფეოდალია** გმირი, მეორეში—**ყმა-გლეხი.** ეს ორი თაობის ეპოქის საზოგადოებრივ ურთიერთობას გამოხატავს, თავისებურ კლასიურ-წოდებრივ ასპექტში ასახულს.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ არც ერთი ხალხური გმირის სახელი ჩვენში ისე გავრცელებული და ხალხის მიერ შეყვარებული არ არის, როგორც არსენას სახელი. არსენა ხალხის ნამდვილი საყვარელი გმირია, რატომ?—იმიტომ, რომ ხალხი მასში ხედავდა მისი ინტერესებისათვის მებრძოლ ძალას, ხალხის განთავისუფლებისათვის თავდადებულ გმირს, ამიტომ შემოსა ხალხმა იგი შარავანდედით და გახადა თავის გმირად; ხალხურმა მესტვირემ ბარბალოსაგან გამოკვეთილ ლექსის სტრიქონებში მძლავრად ასახა არსენას თავგადასავალი.

1872 წ. ერთი ჩვენი პუბლიცისტი, **პეტრე უმიკაშვილი, რომელმაც** ახლად გამოცემულ „არსენას ლექსს" ვრცელი განხილვა უძღვნა, სწერდა:

„...მთელს საქართველოში არსენას ლექსში (ლამარიაცია ვარიანტებზე და სხვ.). ისე გავრცელებულია და ყველგან მღერიან. რა საოცარი იყოს, რომ არსენას ლექსი არ იცოდნენ? მეფე ერეკლეზედაც არის გამოთქმული ლექსები, მაგრამ უფრო ქართლ-კახეთში და იმერეთში, ეს არსენას ლექსი კი მთელ საქართველოში, შავიზღვიდან მოყოლებული, ყველგან... მოდებულია..., არსენას ლექსსა მღერის მთელი საქართველოს ერი. სჩანს ამ ლექსში არის ისეთი რამ ხალხის გონებას და გულს ეტკბნება საგანზედ; სჩანს ერთი შეგონება და შემეცნება ჰპოულობს არსენაში თავის მოძმე აზრს; სჩანს ჩვენი ერის ცხოვრებაში ხეს მოუსხამს ისეთი ნაყოფი, რომელიც ამ ლექსში გამოხატავს ხალხსა" *).

საინტერესო ისტორიული ფაქტია,—ყველაფე—მაგარსა და პოლიტიკურად შორსმჭვრეტელ სახელოვან მეფე **ერეკლეს** ამაყი მეტოქე გამოუჩნდა ყმა-გლეხისა და ტყვეგაპარული **არსენა ოძელაშვილის** სახით. უფრო მეტი,—ქედმოუხრელი მეფე ხალხის შეგნებაში ყაჩაღმა არსენამ დაამარცხა, როგორც ჩვენი ცნობილი პუბლიცისტი **სერგეი მესხი** სწერდა იმავე 1872 წ.: „ყველა შენატრის მის (არსენას) ბედს, ყველა ლოცულობს მის მარჯვენას, ყველას უყვარს მისი მოქმედება და ყველა, განსაკუთრებით ლარიბებში თანაუგრძნობენ იმას! ერთი სიტყვით არსენა **ჩვენი ხახალხო გმირია**". **)

არსენას სახელის ასეთი განდიდება და გავრცელება ხალხის კლასიური შეგნების განვითარებით უნდა აიხსნას: ბატონყმური უღლით შეწუხებულმა მასამ, პირველ ხანებში ინსტინქტიურად შეიგრძნო თავისი წოდების ინტერესები და ამ ინტერესებისათვის მებრძოლი გმირი თავის სათაყვანებელ გმირად გახადა; მაგრამ, რამდენადაც ხალხის შეგნება თანდათან ღრმავდებოდა და წინ მიდიოდა, იმდენად არსენას სახელი ხალხში უფრო და უფრო იზრდებოდა და შარავანდედით იმოსებოდა.

ჩვენს ხელთ არსებულ მეორე დოკუმენტებისა და შეკრებილ მასალების მიხედვით, არსენა ოძელაშვილი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა; მისი ყაჩაღად გაჭრის მიზეზები დაახლოვებით 1827-42 წლების თარიღით განისაზღვრება (იხ. ზ. ჭიჭინაძის: „ბატონყმობის ფაქტიური მასალები" ტ. III—IV, აგრეთვე მისივე: „არსენას ამბავი" არსენას ლექსის ერთ-ერთ ძველ გამოცემაში). ს. მესხი დასახელებულ წლებში 1872 წ. სწერდა: „არსენა იყო უბრალო სომხითელი გლეხი, ქართული თავადიშვილის გლეხი. სცხოვრობდა ამ ოცდაათი წლის წინათ" (გვერდი).

აღნიშნული ეპოქა, 20-30-იანი წლებისა მით არის შესანიშნავი ჩვენს ისტორიაში, რომ მაშინდელი საზოგადოებრივ ურთიერთობაში საგრძნობი ძვრები მოხდა: რუსეთის ბიუროკრატიულ-პოლიციური აპარატი საგრძნობლად გაძლიერდა, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობას; რუსეთის პოლიტიკამ და კოლონიური მისწრაფებებმა გამოიწვიეს ომები მეზობელ სახელმწიფოებთან და ერევნის, ახალციხე-ახალქალაქისა და ფოთის შემოერთება; სავაჭრო კაპიტალი საგრძნობლად იწყებდა ნატურალურ მეურნეობის დაშლას და ისიც მძიმე ტვირთად აწვებოდა გლეხობას. მეორე მხრით ეკონომიურად დაცემის გზას დაადგა თავად-აზნაურობა, რომელმაც თავისი შემოსავლის წყარო გლეხთა გაძლიერებული ექსპლოატაციით იწყო. საერთოდ ეს ეპოქა მაჩვენებელი იყო საქართველოს ძველი ფეოდალური ურთიერთობის რღვევის პროცესისა, მას არ შეიძლება არ მოყოლოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასების სოციალური ბრძოლების გამძაფრება: აღნიშნული ეპოქა მით არის შესანიშნავი, რომ თვითმპყრობელობის პოლიციურ-ბიუროკრატიული აპარატის დაწოლამ გამოიწვია, ერთის მხრივ ფეოდალური არისტოკრატიის უკმაყოფილება და 1830-32 წლების შეთქმულება, რომლის მიზანი იყო აღდგენა ძველი წყობილებისა, ხოლო მეორე მხრივ,—გლეხთა გრანდიოზული მოძრაობა, რომელიც მიმართული იყო როგორც აპარატის საწინააღმდეგოდ, ისე მემამულეთა მოსასპობად. გლეხთა ეს მოძრაობა ბატონყმობის მოსასპობად და ბიუროკრატიულ-პოლიციური აპარატის წინააღმდეგ გამოიხატა მთელ რიგ **აჯანყებებსა და ინდივიდუალურ ბრძოლებში.** მოძრაობის ეს ორივე ფორმა—მასიური აჯანყებანი და ინდივიდუალური ბრძოლები—არსებითად მაჩვენებელი იყო ბატონყმური რეჟიმის და ძალაუფლების ურთიერთობის გამწვავებისა; გლეხობა ვეღარ ეტეოდა ძველი წყობილების ფორმებში და იარაღით ხელში მოითხოვდა პირად თავისუფლების მოპოებას. 1931 წ. ერთი დოკუმენტი ამბობს: „...ყმანი ჩვენნი ერთბაშად მეცადინეობენ ჩვენის ყმობიდან განთავისუფლებასა და ამასთანავე აღარ მორჩილობენ ვითარცა მეფის ბატონ-ყმის მორჩილებას". *)

არსენა ერთი იმ პირთაგანი იყო, რომელმაც ვერ აიტანა ბატონყმობის მძიმე უღელი, გაიქცა და ტყეში თავისუფლად ხეტიალს ამჯობინა მონობაში ცხოვრებას. **მაშინდელი ამგვარი ყაჩაღობა და ერთგვარი** მძლავრი პროტესტი იყო ბატონყმურ წყობილებისადმი მიმართული. მაშინდელმა ეპოქამ მრავალი შესანიშნავი პროტესტანტი ყაჩაღები იცის. მრავალი დაადგა ამ ბრძოლის გზას და ინდივიდუალური ტერორის საშუალებით სპობენ თავიანთ ბატონებს. იმ ეპოქის მომსწრე **გ. ლეონიშვილი** სწერდა: „არსენა, კაცი, ბასუტი, სალა, ფიდო, გიგო, კობერიძე და სხვ. ყველა ეს ყაჩაღები ბატონის ყმები იყვნენ. დანარჩენი ყაჩაღები, რომლებიც ხიზნობიდან გამოდიოდნენ, ზემოხსენებულ ყაჩაღებს ურთიერთდებოდნენ... ზოგიერთი გამოჩენილი ყაჩაღები დიდსულოვნებიც იყვნენ მაგ., არსენა მდიდრებს ართმევდა და ღარიბს, გლეხს აძლევდა" (ც. ლეონიშვილი: „სოფლიდან წარმოსადგენა [კავკასიაში ყაჩაღობა"—„ივერია" № 5-6, გვ. 148-9,—1884 წ.). როგორც იწვევდა ამ ყაჩაღთა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი, როგორც თავისი ვაჟკაცობით, აგრეთვე ბრძოლის ხერხებითაც, ყოფილა არსენა ოძელაშვილი. არსენასათვის „გაჭრა" ბრძოლის საშუალება იყო არსებულ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად და თავისუფლების მოსაპოებლად მთელი გლეხობისათვის. მართალია, ამ ბრძოლით ის ვერ აღწევდა მიზანს, იგი ერთობ პრიმიტიული საშუალება იყო ბატონური წყობილების მოსასპობად. მაგრამ ეს ბრძოლის ხერხები შესანიშნავი იყო თავისი ისტორიული მნიშვნელობით, რადგანაც ჩვენი გლეხი ჯერ კიდევ შეუგნებელი პოლიტიკურად განუვითარებელი იყო და რადგანაც მას არ ყავდა მეთაური კლასი ქალაქის პროლეტარიატის სახით.

ამრიგად არსენას ბრძოლის ფორმა ქართველი გლეხის ძველი წყობილების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლის ერთ-ერთი ისტორიული ფორმა იყო.

---

* (პ. პეტრიძე: „არსენა"—„კრებული" № 7, გვ. 58, 66—1782 წ.

**) მესხი, თხზულებანი, ტ. 1-ლი, გვ. 59, —1904 წ.)

*) იხ. საქართ. მუზეუმში № 8570 (ს. ა.)

არსენას თავგადასავლის პირველი „ლიტერატურული გადამუშავება" ხალხს ეკუთვნის: ცნობებიდან ჩანს, რომ გავრცელებული ყოფილა, როგორც მესტვირის შეთხზული, სხვადასხვა ვარიანტები, აგრეთვე მთელი რიგი სახალხო ლექსებისა. 1874 წ. „არსენას ლექსის" გამოცემაში პ. უმიკაშვილი სწერდა: „ეს მესამედ დაბეჭდილი „არსენას ლექსი" **შედგენილია უმეტესად მესტვირულის და უფრო ნაკლებ სახალხო ლექსებისაგან**". ეს ცნობა გვაფიქრებს, რომ ჩვენში ცნობილი და გავრცელებული „არსენას ლექსი" არ არის სავსებით მესტვირული, მასში ცვლილება შეუტანია „შემდგენელს" და გამომცემს პ. უმიკაშვილს. ცვლილების შეტანა ცენზურის მხრივაც დასჭირებია გამომცემს: „**ზოგიერთი სტრიქონი და სიტყვები შეცვლილია, რადგანაც შეუცვლელად ის ადგილები ვერ დაიბეჭდებოდა და ამის გამო აზრი ნაკლებად გამოვიდოდა**". შესაძლებელია არის შემდეგში კვლევამ და ვარიანტების აღმოჩენამ (ჩვენის აზრით ვარიანტები უნდა ინახებოდეს პ. უმიკაშვილის არქივში), აღნიშნული „დედანი" აღმოაჩინოს მესტვირულის ლექსისა და ამით აღდგენილ იქნეს ცენზორის მიერ დამახინჯებული ადგილი.

ვინ იყო „არსენას ლექსის" პირველი „გამომთქმელი"? ამის შესახებ სხვადასხვა ცნობები არსებობს. იგივე პ. უმიკაშვილი სწერს: „არსენას ლექსს რამდენიმე მესტვირეები ზეპირად მშვენივრად მღერიან, და გვეგონა რა პირველათ ერთის ამათგანის **ანდრია ნადირაძის** სოფ. სვენის (რაჭის) მცხოვრების გამოთქმით, სხვები ამბობენ განთქმული **გიორგი ქუბაძის** სოფ. ვარიანის (ქართლის) მცხოვრებისაო". ზ. ჭიჭინაძე თავის მოგონილ მასალებში სწერდა: „სახალხო ლექსი არსენასი, გამოთქმულია ისეთი რამდენიმე მესტვირისაგან (სხოტელაძისაგან), რომელმაც არც წერა-კითხვა იცოდა და არც არსენა უნახავს თვალით მან გამოსთქვა სხვების ნაამბობით. *)

ბატონყმობის საწინააღმდეგო პოემები საკმაოდ იყო ჩვენს ხალხში გავრცელებული. საკმარისია დავასახელოთ „**ზვიადა ლომჯანიძე**", რომელიც რაჭის გლეხთა ცხოვრებიდან არის აღებული. მებატონე არეშიძენი „არ დაზოგავენ ქვრივ-ობოლთ, ცოლებს ართმევენ ყმებს" ზვიადა ამხილებს, მეთავედ ხელებს არეშიძის კლავენ და ზვიადას დედებით ისჯებიან (იხ. 1890 წ. „ივერია"). ამ პოემის ლექსი გამართულად არის დაწერილი; ამასთანავე იგი ზედმიწევნით, რამდენიმე გლეხობის მწვავე ბრძოლებს დესპოტ მემამულეთა წინააღმდეგ. მაგრამ ზვიადა ლომჯანიძე მაინც ვერ გადაიქცა საყოველთაო სახალხო გმირად და ეს სახალხო ლექსიც ნაკლებად იყო გავრცელებული ჩვენში. ამ მხრივ მისი შედარება არსენასთან და „არსენას ლექსთან" შეუძლებელია. „არსენას" სოც. ფონი უფრო ღრმა და მრავალფეროვანია: აქ მთელი რიგი ისეთი მომენტები არის გამოქვეყნებული, რომელიც მძიმე ტვირთად აწვა გლეხობას და რომელიც იწვევდა მათ უკმაყოფილებას. პ. უმიკაშვილი შემდეგ კომენტარიის უკეთებდა „არსენას ლექსს". „არსენას ზოგნი ყაჩაღს ეძახიან,. ეს ცრუ აზრია და არსენა ამგვარი ყაჩაღი არ არის. სხვებს კიდევ არსენა მარტო ბატონყმობის წინააღმდეგ კაცათ ჰგონიათ და სხვა არაფრათ. მაგრამ კარგად, რომ დავაკვირდეთ ბევრს და ბევრს სხვა მხარეს დავინახავთ, ამ სახალხო ლექსში გამოხატულია არა ერთი და ორი მხარე ჩვენის ცხოვრებისა, არამედ მრავალი სხვადასხვა მხარე. აქ ყოველივე ერთად შეერთდა და ერთ ვრცელ ხალხის სურათად წარმოგვიდგა. არსენაში გამოითქვა **შეგნებითა**, ღრმა სი-

*) ტომი III—გვ. 5.

ყვარული სიკეთისა და [illegible] (სიკეთისათვის თავის დადება და ბრძოლა კაცის დამჩაგვრელ ძალებთან, როგორიც უნდა იყვეს ეს ძალა". „კრებული № 7, გვ. 67, 1872 წ.).

მესტვირულის „არსენაში" გადმოცემულია ბრძოლა ბატონის დესპოტიზმისა და, მაშასადამე მთელი ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ; ბრძოლა ბიუროკრატიულ-პოლიტიკური აპარატის წინააღმდეგ, იმ აპარატის, რომელიც ხალხს მძიმე ტვირთად დააწვა და ეკონომიურად ანადგურებდა მას; ბრძოლა სავაჭრო-სავახშო კაპიტალის წინააღმდეგ, რომელმაც გლეხობა თავის საექსპლოატაციო ობიექტად გადააქცია; ბრძოლა „მშიერის", „ღარიბის" დასაცავად; ბრძოლა „მდიდარის", „მაძღარის" წინააღმდეგ. მაგრამ ყოველივე ეს ბრძოლები ახსნილია წვრილ-ბურჟუაზიულ მოაზროვნეობის ასპექტში, მაშინდელი განუვითარებელი შეუგნებელი გლეხის თვალსაზრისით. ეს არის ბრძოლა სტიქიური, შეუგნებელი, პრიმიტიული საშუალებებით და გზებით, ამიტომ მესტვირული არსენა ძლიერ ახლო სდგას ისტორიულ სინამდვილესთან. დღეს ძნელი არის იმის დაბეჯითებით გამოკვლევა იცნობდა თუ არა „არსენას ლექსის" ავტორი პირადად არსენა ოძელაშვილს, და იგი თავის ლექსში ნამდვილ ისტორიულ ფაქტებს გადმოგვცემს თუ არა, მაგრამ ერთი გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მის მიერ „ტიპიურ გარემოებათა" გამოსახიერებულია.

არსენა ზაალ ბარათაშვილის ყმა-გლეხია; 16 წლის არსენა შესანიშნავი ვაჟკაცის სახით გამოიყურება, მაგრამ ამ ვაჟკაცს „პიროვნება" ვერ იტევს ბატონყმურ ურთიერთობის არტახებში, რომელიც მას ძალზე ბოჭავს და გასაქანს არ აძლევს. „არსენას ლექსის" ავტორიც არსენას ამ პირად **ინდივიდუალურ** შეტაკებას ბატონთან უდებს საფუძვლად მის ყაჩაღად გავარდნას. არსენას სხვა გამოსავალი არ აქვს; მან, ან ქედი უნდა მოიხაროს ბატონის წინაშე, ჩაიკლას თავისი გრძნობები გულში და ამით გამოეთხოვოს თავის პირად ინტერესებს, ან შეებრძოლოს ბატონყმურ წესებს და დაიცვას პირადი თავისუფლება. არსენა უკანასკნელ გზას ირჩევს. მაგრამ ბატონყმობის წესების წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალება მის განკარგულებაში მხოლოდ ერთად-ერთია: **ეს არის ინდივიდუალური ბრძოლის გზა** და არსენაც ამ გზას დაადგა. ამრიგად ბატონყმური წყობილების სისასტიკემ, რომელიც მძაფრად შეეხო არსენას პიროვნებას, გააღვიძა მისი შეგნება და აიძულა იგი ტყეს გაჭრილიყო თავისი პიროვნების დაცვის მიზნით; მისი ადამიანობის შემეცნება იღვიძებს მას შემდეგ, როდესაც დაუნდობელი სისასტიკით იქნა შელახული მისი თავმოყვარეობა; შემეცნება ყმა-გლეხის პიროვნებისა შეეჯახა არსებულ წესს და ამ წესის მოსისხლე მტერი გადაიქცა. ამრიგად არსენა ოძელაშვილი ბუნებას თავიდანვე არ დაებადებია ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად. იგი ისეთ გმირად საზოგადოებრივ ურთიერთობამ შექმნა და ამავე საზოგადოებრივ ურთიერთობამ გააღვიძა მასში **ადამიანური თავისუფლების** შეგნებაში და თავისებური გზით ბრძოლის აუცილებლობაც ამ წესების წინააღმდეგ. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა **გლეხის შეგნებაში** გაღვიძებულიყო არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება: **ასეთ ტიპიურ გარემოცვას თავისი შესაფერისი გმირული-ტიპი შეეძლო მიეცა.**

კონკრეტულად არსენას დამოკიდებულება [illegible]

შეუყვარდა ბარათაშვილის მოახლე, რომელის შეირთვის ნებართვა სთხოვა ბატონს, ბატონი ნებას არ აძლევს, მაგრამ არსენა თავისას არ იშლის და ქალი მაინც მიჰყავს! ერთ-ერთ უცნობ ვარიანტში ვკითხულობთ:

●

ცოლქმრობის პირობა მისცა—მან სახლში შეიყვანოთ.
ეს, რომ ამბონმა შეიტყო, ქალიდან შეაშალოთ.
ბატონი ბალკონზე იდგა, ქოშები გადმოყაროთ:
მიგისგნით ქალი წავიროთ, რა არის მაგისთანოთ.

●

არსენამ კი უპასუხა:
ამ თორმეტ თუმანს მოგართმევ, დაგითვალე ჩქარა-ჩქარათ,
ბატონი გაჯავრებული ფანჯრიდან გადმოვარდათ
თოფ-იარაღი აისხა, მისდევდა მხარ და მხარათ,
ორივე კაცი გაეზავნა, ნავცალა დაიმალათ;
„არსენა ოძელაშვილმა ჩემზე იხმარა ძალათ
ერთი კარგი გოგო მყავდა, იმერეთ წაიყვანათ,
ჰანდერით გაიქცა არსენა მთა-ბარი დაიარათ"*).

●

როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, არსენა თავიდან მოწადინებული იყო მშვიდობიანად გადაეწყვიტა საქმე და ბატონს თავისი საყვარელი არსების გამოსასყიდად 12 თუმანიც შესძლია; მაგრამ ამ გზით იგი ვერ იხსნა კონფლიქტისაგან და ბოლოს იძულებული შეიქნა ძალადობისათვის მიემართა, აღსანიშნავია, რომ არსენა არ არის გაღატაკებული გლეხი; იგი მდიდარ გლეხთა კატეგორიას უფრო ეკუთვნის. სწორედ ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ეკონომიურად წელმაგარი გლეხი ვეღარ იტანდა ბატონყმურ წესებს და აქტიურ ბრძოლის გზას ადგებოდა.

ტყეში გაჭრილი არსენა მარტო თავის თავისთვის არ ზრუნავდა; მას ხალხიც აინტერესებს, ხალხის ინტერესებისათვის იბრძვის. მაგრამ მისი ბრძოლის საშუალება ერთობ პრიმიტიული და შეუგნებელია. იგი ებრძვის სავაჭრო-სავახშო კაპიტალის აგენტებს და ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა: ეს კაპიტალი, როდესაც ჩვენში ფეოდალური მეურნეობა განვითარდა, მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას, რომელმაც თავისებური პროტესტიც გააცხადა მის წინააღმდეგ. სწორედ სავაჭრო კაპიტალით გამოწვეულ ამ გლეხურ პროტესტის ასახვას „არსენას ლექსის" ავტორი. არსენა შემდეგ ბრალდებას უყენებს ვაჭრებს:

●

ქალაქში რო ჩამოხვალთ ხოლმე, ფარჩას არჩევთ შალის თხელსა;
სოფელში იყიდთ ტარება, კარგად შეიკ... მაგთ ცხენსა,
ქვრივსა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავად მატარძლებსა!
მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუჯდესა,
გადუტეხა და გადააგდო: ფუ, გაგიწყდით გაუწყრესა **).

ასეთია ამ გლეხური პროტესტის არსებითი შინაარსი. მაგრამ გლეხი—არსენა არა მარტო ბრალდებას უყენებს სავახშო-სავაჭრო კაპიტალის აგენტებს, იგი ზომებსაც ღებულობს მის ასალაგმავად. ყველაზე უფრო გარკვეულით გლეხური პრო-

*) იხ. „კრებულში"—№ 7, გვ. 75—6,—1872 წ.

**) „კრებული" № 17, გვ. 89; აგრეთვე „არსენას ლექსი" 1874 წ. გამოცემა.

ბიტილი ბრძოლის მეთოდი სწორედ ამ საკითხში სჩანს; მას არ ესმის საფაბრიკო-სავაჭრო კაპიტალის შინება, მისთვის გასაგებია მხოლოდ ის, რომ ეს კაპიტალი გლეხობას აღიწროვებს და სძარცვავს, მაგრამ მან არ იცის ის გზა და მეთოდი, რომლითაც შესაძლებელია ამ წყობილების ლიკვიდაცია. ის პირადი დამნაშავეობით და ახალი „ძლიერ შემოსავლებით" სცდილობს შეავიწროვოს საფაბრიკო კაპიტალი.

●

მინდა ჯოხი გავუჭრა, რომელიც რომ
გრძელი იქნება,
შიგა მტკაველით გავუზომა, მისხალი
არ დააკლდება:
თუ ამითი არ გაგიყოლოთ ვაი დედა-
თქვენის ღმერთსა!
სიკვდ, რომ შემოგაცურებ, ყველას გა-
მოგჭრი ყელსა!

●

ამ გზით ფიქრობდა არსენა შეეწრიტა გვარ ის კაპიტალი და გადაერჩინა თავისი მეზობლები გლეხობა მისი გადაჭარბებული ექსპლოატაციისაგან; მისი აზროვნება ჯერ კიდევ ვერ გასცილებია კუთხურ ტერიტორიას; მისი პოლიტიკური აზროვნება ჯერ კიდევ ქაოტიური და გაურკვეველია. აქა ნაკლებ საინტერესო არის არსენას გულუბრყვილო პროგრამის შემდეგი მუხლიც: თუ „მაძღარს ართმევს, მშიერს აძლევს" ან „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს", ფიქრობდა არსენა „ღირსეულ" შემდეგნაირად ეხსნის თავის დანაშაულს:

●

მართალია გავარდნილი დავდივარ მშიერ
ველი.
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი მოვცარდი
ღარიბის ჭმევა,
დანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრუ-
ლდება.

●

ამ „დანაშაულის" არსებითი შინაარსი წვრილ-ბურჟუაზიულ გლეხურ შეგნებიდან მომდინარეობს, ეს თავისებური ეგალიტარიზმის პრინციპია, რომელსაც ყოველ დიდ ბურჟუაზიულ რევოლუციებში აყენებდნენ წვრილ-ბურჟუაზიის იდეოლოგები; ამ ეგალიტარიზმის არსებითი შინაარსი ეკონომიკურ-კონტრიბუციული ტოლობის თანაბარ განაწილებაში გამოიხატებოდა: წვრილ-ბურჟუაზიის იდეოლოგები სრულიად არ ეჭიქრობდნენ კერძო საკუთრების მოსპობას; მათი ეკონომიური იდეალი კერძო საკუთრების განმტკიცებაში გამოიხატება და, უკეთ, ისინი უარყოფდნენ მხოლოდ კერძო საკუთრებას, რომელიც მათი აზრით ქურდობაში და ექსპლოატაციაში იყო შეძენილი, და მოითხოვდნენ მათ თანაბარ განაწილებას მოქალაქეთა შორის; ამით მოისპობოდა გადამეტებული სიღარიბეც და გადამეტებული სიმდიდრეც. ასეთი იყო ამ წვრილ-ბურჟუაზიული ეგალიტარიზმის არსებითი შინაარსი. არსენას პროგრამაში უკვე ურევს თავისებური ასახვა ამ ეგალიტარიზმის პრინციპის ელემენტებისა, არსენას ესმის, რომ სიმდიდრე არა სინდისიერი გზით არის შეძენილი, რომ ამ „სიმდიდრის" წართმევა და ღარიბების დარიგება მას არ მიაჩნდა დანაშაულად, იგი ამას პირიქით ქეშმარიტად ხედავს „ღირსეულ" სასიკეთოდ გამიზნულ არსენა ქალაქის სტილში.

●

ჩემი ნებიდანი თუმანი, ქისაში ერთი დიდი
კლდეში დევსა:
ღარიბსა, არას მქონესა, მიეცეს და მოხმა-
რდესა".

მეორე ლექსში სწერია:
მისცეს და მოახმარე ღარიბებს და გლეხა-
კებსა*).

*) იხ. „არსენას ლექსი"—გვ. 11, 1872 წ.



## გრანდიოზული ძეგლი ვ. ი. ლენინს

1932 წელს საბჭოთა კავშირის პირველმა ყრილობამ ხაჯირად სცნო საბჭოების სასახლის აგება მოსკოვში. 1931 წლის 18 ივლისს საბჭოთა სასახლის მშენებლობის საბჭომ გამოაქვეყნა სასახლის აგებაზე საკავშირო კონკურსის პირობები. კონკურსზე, რომლებიც საბჭოთა კავშირის არქიტექტორებს გარდა მონაწილეობა მიიღეს უცხოეთის მთელმა რიგმა გამოჩენილმა არქიტექტორებმა წარმოდგენილი იქნა 727 პროექტი, სამ პროექტს მიენიჭა უმაღლესი ჯილდო. ესენი იყო არქიტექტორ ჟოლტოვსკის, იოფანის და გამილტონის (ამერიკა) პროექტები, მაგრამ ვერც ერთი პროექტი ვერ იქნა მიღებული მშენებლობის საფუძვლად.

მხოლოდ 1 ნახ. წლის მუშაობის შედეგად საბჭომ მშენებლობის საფუძვლად მიიღო არქიტექტორ ბ. მ. იოფანის პროექტი.

ეს გრანდიოზული შენობა იქნება თითქო კვარცხლბეკი ლენინის უზარმაზარი (50-75 მეტრი) ქანდაკებისთვის.

მხოლოდ, როგორც არქიტექტორმა იოფანმა განაცხადა „პრავდა"-ს თანამშრომელთან საუბარში,—საბჭოების სასახლე ნება ვ. ი. ლენინის მონუმენტალური ძეგლი.

ამ შემთხვევაში არსენა გამოსახავდა ჩამორჩენილ, განუვითარებელ გლეხის პრიმიტიულ სტიქიურ მისწრაფებებს: სიმდიდრისა და სიღარიბის ამ პროგრამითა და საშუალებით მოსპობა მხოლოდ ჯერ კიდევ პოლიტიკურად განუვითარებელ გლეხის, ან წვრილ-ბურჟუაზიის შეგნებაში შეიძლებოდა დაბადებულიყო. არსენაში ჯერ კიდევ არ დაბადებულა ის ძირითადი აზრი, რომ „მდიდრის წართმევისა და ღარიბის გადაცემისათვის" სრულიად არ არის საკმარისი „გავარდნა" და ინდივიდუალური თავდასხმები მდიდრებზე, არამედ მთელი მშრომელი მასის შეკავშირება და პოლიტიკური აპარატის დაპყრობა პროლეტარიატის ბრძოლის საჭიროების შეგნებიდან იგი ჯერ კიდევ შორს სდგას. მაშინ, როდესაც ევროპის წვრილ-ბურჟუაზიული იდეოლოგები პოლიტიკური აპარატის დაპყრობის საჭიროებას ელოდებოდნენ, ჩვენში ეს შეგნება, ცნობიერების ერთიერთობის მომწიფებლობის გამო, მაშინ ჩანასახის სახითაც კი არ იმყოფებოდა.

ასეთი არის „არსენას ლექსში"—ლექსის მქმედი მიერ დახატული არსენა მარადიული ტიპი. ვფიქრობ, რომ ტიპი ზევრად ახლო სდგას მაშინდელ ეპოქის სინამდვილესთან: შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ეს არსენა ტიპიური გამომხატველია მაშინდელ გლეხთა მოძრაობისა და იგი ეპოქის სისხლითა და ხორცით არის გაჟღენთილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ „არსენას ლექსი" მხატვრული მხრივ მეტად საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ დარღვეულია ზოგიერთ თეორიული პოლიტიკის მოთხოვნილებანი, იგი ჩვენი ხალხური პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად უნდა ჩაითვალოს; ამ ხალხური გენიის ისტორიული შედეგია, ის, რომ არსენას უკვდავი ტიპის სახე სამუდამოდ დამკვიდრდა ქართულ ლიტერატურაში.

(გაგრძელება იქნება)

# ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

## დ. ბენაშვილი

რამდენადაც ფრიჩეს კანონი ვერ ხსნის ხელოვნების აყვავებისა და დაცემის კანონებს, იმდენათ თვითონ ფრიჩეს ყალბი წარმოდგენა აქვს მხატვრულ ნაწარმოებზე და შემოქმედებითი პროცესებზე. **ხელოვნება და ხელოსნობა მას იგივეობად მიაჩნია, ხოლო ხელოსანს ხმარობს ხელოვანის** სინონიმად.

ფრიჩესათვის მხატვრული ფაქტი შექმნილი მხატვარის მიერ იგივეა, რაც ხელოსნის მიერ გაკეთებული ნივთი. წარმოიდგინეთ ფრიჩე უფრო შორს მიდის და ამ ორ (იდეურ და ტეხნიკურ) სხვადასხვა პროცესს ვულგარულად აიგივებს. „**მხატვრული... შემოქმედება,** სწერდა ფრიჩე, **ემორჩილება იმავე წესებს, რასაც ნივთიერ ღირებულებათა შექმნა.** სამეურნეო სისტემა, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე ბატონობს აუცილებლად განსაზღვრავს მხატვრის მწარმოებლურ შრომას და მის სოციალურ მდგომარეობას. **ისევე, როგორც ნივთიერი ღირებულებანი იქმნებიან ან საკუთარ ოჯახში მოსახმარად, ან დამკვეთითი, ან ბაზრისათვის, მხატვრულ ნაწარმოებს შექმნის დარგშიაც ერთი-მეორეს ასეთივე წარმოების ფორმები სცვლიან**".

საკითხის ამგვარი დასმა, სიტყვების ასეთი მოჭარბება დასმულ პრობლემას კი არ ხსნის, არამედ მხოლოდ სხვა სახით აყენებს, ამრიგად ამოცანა კვლავ ამოუხსნელი რჩება. იდეოლოგიური და ტეხნიკური (ხელოვნური და ხელოსნური) შრომის პროცესების გაიგივება იმ აზრით, რომ ხელოვნების დაცემისა და აყვავების კანონზომიერება ეკონომიკაში აღმოვაჩინოთ, ძლიერ ცუდი გზაა რთული პრობლემების გადასაწყვეტად. კვლევის ასეთი „მეთოდი" მოგვერიდის გაკეთებაა იდეოლოგიური ზედნაშენების სპეციფიური ბუნებისათვის, თუმცა ეს მოგვერიდი შენიღბული „მატერიალისტური" თვალსაზრისით, ამგვარად მატერიალიზმის სახელით არამატერიალისტური საქმე კეთდება, რთული პრობლემები ვულგარულად მარტივდება და „წესრიგის სახელით ანარქია იქმნება". ასე ყალიბდება კანონი ფაქტების გარეშე და დამოუკიდებლობას, მოკლებული „დოქტრინა" ხელოვნების მეთოდოლოგიური საკითხებზე. ფრიჩეს დაავიწყდა (!) ის ელემენტარული ჭეშმარიტება, **რომ ხელოვნების აკვნის დარწევა მხოლოდ ხელოვანს შეუძლია, „მხატვრულ" ხალტურას კი ყოველთვის ხელოსნები მწყემსავენ.**

ტეხნიკური შრომის გაიგივება მხატვრულ შემოქმედებით პროცესთან, რა თქმა უნდა, ფრიჩედან არ იწყება; იგი აუცილებელი აკომპანიმენტია იმ დიდი მოძრაობის, რომელსაც მეთაურობდა ფილოსოფიის „ობერპროკურორი" ევგენი დიურინგი.

თუ ფრიჩეს სურდა დიურინგის მსგავსად ახსნა ხელოვნების დაცემისა და აყვავების კანონზომიერება, მაშინ მას მარქსიზმისათვის არ უნდა მიემართა; თუ მარქსიზმით უნდოდა ხელოვნების ზოგადი კანონების ჩამოყალიბება, მას დიურინგიეთ არ უნდა უარეყო მატერიალისტური დიალექტიკა, როგორც უნივერსალური მეთოდოლოგია; თუ მშვიდობიანი გზით სურდა მარქსისა და დიურინგის მორიგება წინდაუხედაობა იყო იმის გაუთვალისწინებლობა, რომ მას ეკლექტიკოსად მონათლავდენ; თუ გულწრფელად ცდილობდა მატერიალისტური დიალექტიკის გამოყენებას ხელოვნების ზოგად საკითხების გადასაჭრელად, მაშინ უაზრობა იყო იმ იარაღით გამოსვლა, რომელიც ფრ. ენგელსმა დიურინგის ხელში ნამსხვრევებად აქცია.

ერთი წუთით დავუშვათ, რომ ფრიჩე „მართალია" მაშინ ჩვენ შემეცნებაში გაიგივებულია სხვადასხვა შრომის სხვადასხვა პროცესები. იდეური მომენტი (მხატვრული შემოქმედება) სინონიმი ხდება ტეხნიკური მომენტის (ხელოსნის საქმე). ზემოთ ვთქვით, რომ ხელოვნება ერთდაგვარი აკუმულიატორია სოციალურ ფსიქოლოგიის და საერთოდ იდეოლოგიის. ამავე დროს ვიცით, რომ იდეოლოგია ადამიანთა **შორის** კი არ ცხოვრობს, არამედ ადამიანთა **თავებში**; რაც ცხოვრობს ამ თავებში—ანარეკლია მატერიალური პროცესების, მაგრამ გადამუშავებული და დიფერენციაქმნილი თავისი სოციალური შინაარსით. ხელოსნის შრომა მატერიალურია, მაგრამ არა იდეური, ე. ი. არა დიფერენცირებული, არამედ ტეხნიკური.

მხატვრული შემოქმედების და ტეხნიკური მუშაობის გაიგივებას ჩვენ მივყევართ კლასთა ბრძოლის უარყოფამდე; და აი, რატომ: თუ მაგალითად ერთი და იგივე ხელოსნის მიერ დამზადებულ ნივთს ერთი და იგივე მიზნისათვის მოიხმარს ბურჟუა და პროლეტარი, სამაგიეროდ რომელიმე მწერლის მხატვრულ შემოქმედებას ერთი და იგივე მიზნით ვერ გამოიყენებს ბურჟუაზია და პროლეტარიატი. ამრიგად ფრიჩეს ამ კანონსაც საფუძვლად უდევს ვულგარული მატერიალიზმი. ამიტომ იგი გედის სიმღერად რჩება ფაქტებთან მოახლოების პროცესში.

რატომაა, რომ არა უშუალოდ ეკონომიკა, არამედ იდეოლოგიური ზედნაშენები განსაზღვრავენ ხელოვნების დაცემისა და აყვავების კანონზომიერებას?

თუ კი ყოველი დროის იდეები იყვნენ იდეები გაბატონებული კლასისა, ცხადია, რომ იდეების გაბატონებული მდგომარეობა იქნებოდა რეგულიატორი ხელოვნების ყველა იმ საშუალებების, რომელსაც ეს იდეოლოგია მხატვრულად უნდა გადმოეცა. ეს საშუალებები ისტორიულ არენიდან ქრებოდა იმ წამსვე, როდესაც ისპობოდა გაბატონებული კლასის იდეები. ტიტველი სხეულის კულტი სპარტაში დაეცა იმ ეტაპიდან, როდესაც სპარტანელმა არისტოკრატებმა დაკარგეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა; ბერძნული გენიალური ეპოსი დაეცა იმის შემდეგ, რაც მეთოდოლოგიური რწმენა გაქრა ბერძნების ტვინიდან; როკოკოს სტილი კარგავს თავის როლს მაშინ, როდესაც ადამიანის შეგნებაში ზეციურ ძალებისადმი თაყვანისცემის რწმენას ეცლება ნიადაგი; დავიდის რევოლუციონური მხატვრობის გავლენა დასავლეთ ევროპაში ეცემა მას შემდეგ, რაც რევოლუციონერმა ბურჟუაზიამ რეაქციაში ამოყო თავი; მუსიკის „რევოლუციური ჰიმნი", კვდება, როდესაც რევოლუციონური პროლეტარიატის მებრძოლი იდეოლოგია იკავებს გაბატონებულ მდგომარეობას; ბურჟუაზიული იდეოლოგიის დეგრადაციის კანონზომიერებით მოლიერე და მოუსვენარ ბაირონის მხატვრული შემოქმედება იცვლება ერიხ მარია რემარკის პაციფიზმით. გენიალური შექსპირის რეალიზმის ადგილს ნიჭიერ ბოდლერის ბოჰემური ნიჰილიზმი იჭერს. დიდებული გოეტეს „ფაუსტი" მსხვერპლად ეწირება თანამედროვე ბურჟუაზიულ მწერლების უნიჭო ფარსებს.

ასე, ამრიგად **კლასთა ბრძოლაში, გახურებულ პოლიტიკურ ატმოსფეროში** და აქედან გამომდინარე **კლასის ფსიქო-იდეოლოგიაში მარხია ხელოვნების აყვავებისა და დაცემის კანონზომიერების არსი.**

უარყოფს თუ არა ეს დებულება ეკონომიკის და კერძოდ საწარმოო ძალთა ძლიერ მნიშვნელოვან ზეგავლენას ხელოვნებაზე? არავითარ შემთხვევაში, არასოდეს და არც ერთ მომენტში; ხელოვნების ისტორიიდან ჩემ მიერ მოყვანილი ფაქტები ბრწყინვალედ ასაბუთებენ იმ დებულებას, რომ ადამიანის შეგნება კი არ განსაზღვრავს მათ ყოფას, არამედ ყოფა ქმნის შეგნებას, განა ანტიური ადამიანის ბედისწერის რწმენა შედეგი არ იყო დაბალი ტეხნიკის, რომლითაც მას ვერ გაეგება ბუნების ძალთა დამორჩილება?! ამ საფუძველზე ანტიური ადამიანისათვის ბუნების ძალები გაუგებარი რჩებოდა და შეუმეცნებელი ძალები მას თავზე ედგა, როგორც ბედისწერა. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საწარმოო ძალთა განვითარების შემწეობით გაქრა პრიმიტიული ეკონომიური ურთიერთობა, რომელიც წარმოადგენდა მატერიალურ საფუძველს პრიმიტიულ შეგნებისას. პრიმიტიული შეგნების მსხვრევამ გადამწყვეტი გავლენა იქონია მონუმენტალურ რელიგიური ხელოვნების დაცემაზე. ამ ეტაპიდან ანტიური ბედისწერა და საშუალო საუკუნოების ქრისტეს ვნებანი გაძევებულია ინდივიდუალური ადამიანის ვნებებით. მითოსის და რელიგის ადგილს ადამიანი იჭერს. შემდგომ ისტორიულ ეპოქებში ევროპაში გაჩნდა კომუნიზმის აზრდილი, რომელიც პროლეტარიატის ხელში დაუპირდაპირდა ბურჟუაზიულ სტრუქტურის ეკონომიურ საფუძველს — კერძო საკუთრებას, ოქტომბრის დიდი რევოლუციით დედამიწის ერთ-მეექვსედ ნაწილზე დასრულდა ადამიანთა ისტორიის კოშმარული პროლოგი და დაიწყო კაცობრიობის ნამდვილი ისტორია, კერძო საკუთრების ინსტიტუტის მსხვრევის საფუძველზე გაბატონდა სოციალისტური საკუთრება. ამავე საფუძველზე ხდება კლასების ლიკვიდაციაც.

ეკონომიურ ურთიერთობის შეცვლამ გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ხალხთა იდეოლოგიაზე და ფსიქოლოგიაზე; ამ უკანასკნელმა კი თავის მხრივ შესცვალა ხელოვნების რთული სისტემა. თუ აქამდე ხელოვნების საფუძველს წარმოადგენდა ადამიანის ინდივიდუალური ვნებები, რომელიც თავის დასაწყის იღებს ბურჟუაზიულ ინდივიდუალიზმიდან, დღეს ადამიანის ინდივიდუალურ (არსებითად ინდივიდუალისტურ) ვნებებს სოციალისტური ვნებები სცვლიან, რომელიც იქცევა **სოციალისტური ხელოვნების ამოსავალ წერტილად.**

ხელოვნების იდეური და მხატვრული ხარისხი აქ დაბლა კი არ იწევს, არამედ მთელი თავით მაღლა დგება: ამავე დროს სოციალისტური ხელოვნები პიროვნების

---

*) ეს წერილი წარმოადგენს ერთ-ერთ თავს დასაბეჭდათ დამზადებულ წიგნის **„ხელოვნების დაცემისა და აყვავების მეთოდოლოგიური საფუძვლები"** ამავე წიგნის რამოდენიმე თავი დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა მწერლობა"-ში 1933 წ. № 3-4.
დ. ბ.

ინტელიგენტურ ინდივიდუალიზმიდან, რომელსაც წინათ ბურჟუაზიული ხელოვნება კვეთდა კოლექტივიდან. მთელი ენერგიით „გამოსწორებდა და აცდენდა პესიმიზმის სიცოცხლეში", ან და ხელმძღვანელ დააწყებინებდა ზოგჯერ ინდივიდუალურ ბუნებიდან გამომდინარე გრძნობის წინაშე.

ყველაფერი ეს არამც თუ უარყოფს იმ დებულებას, რომ ხელოვნების დაცემა და აღმავლობის კანონზომიერება უშუალოდ დამოკიდებულია იდეოლოგიურ ზედნაშენებზე, არამედ ერთხელ კიდევ ხაზგასმით ადასტურებს მას. მარქსი ყოველთვის აღნიშნავდა თავის მოწაფეებს, რომ „ეკონომიურ ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც ნელა თუ სწრაფად გადატრიალდება. ამგვარად, გადატრიალების განხილვისას ეკონომიური საწარმოო პირობების გადატრიალება, რომლის განსაზღვრა ბუნებისმეტყველური ზედმიწევნილობით არის შესაძლებელი. **უნდა გავარჩიოთ** ამ იურიდიულ, პოლიტიკურ ხელოვნებითი, ან ფილოსოფიური, მოკლედ იდეოლოგიური ფორმებისაგან რომელთა სახით ადამიანები ამ კონფლიქტს შეიცნობენ და მისთვის ბრძოლას აწარმოებენ.

ფორმის კანონი არამც თუ **არჩევს** ერთი-მეორისაგან ეკონომიურ და იდეურ კატეგორიას, არამედ ნივთიერ ღირებულებათა შექმნის წესებს მექანიკურად აიგივებს იდეურულ შემოქმედებითი პროცესებთან, ამიტომ იგი ივიწყებს იმ ძალიან დებულებას, რომ განსაზღვრულ ეკონომიურ ურთიერთობაში **წარმოშობილმა მიზანმა** უნდა გაიაროს **შეგნება ხალხის**, ან და იმ კლასის, რომელსაც ეს ხალხი შეყავს გმირობასთან, რომ ამ საფუძველზე შეიქმნას ნიადაგი დიდი იდეებისათვის, რომელნიც ასულდგმულებენ საერთოდ ხელოვნებას.

**დასკვნა:** მარქსის აზრით „დიალექტიკა, როგორც სააზროვნო კატეგორია, უკუფენაა რეალური, მატერიალური ქმნადობის პროცესში მოცემულ დიალექტიკისა", რადგანაც „იდეალური" წარმოადგენს სპეციფიურ ენაზე ადამიანის გონებაში ნათარგმნ მატერიალურს, ამიტომ არ შეიძლება სააზროვნო პროცესის მოწყვეტა მატერიალურ პროცესებისაგან, მაგრამ ამავე არ შეიძლება მათი ვულგარული გაიგივება, მატერიის მოძრაო ფორმების დიალექტიკა, რომელიც მარქსისტულ-ლენინურად აზროვნე ადამიანის ტვინში გატარებული, იძლევა უნივერსალურ მეთოდით, რომელიც წარმოადგენს მოძრაობის „სულს" და ადამიანის სააზროვნო კონსტრუქციის, ამ მომენტში **„Сознание не только отражает действительность, но и творит ее" —ЛЕНИН.**

იდეოლოგია კი უპირველეს ყოვლისა **შეგნების სფეროა.** რადგანაც იგი წარმოადგენს აზრების, განწყობილებების, ზნეობის და კოფაქციების სისტემას, ამ სისტემაზე აღმოცენდება ხელოვნება, როგორც **შემეცნების** (და მასთან ერთად **შეგრძნობის** სფერო, მარქსიზმი გვასწავლის, რომ **ყოველი იდეოლოგია რაკი ერთხელ წარმოიშვება უკვე არსებულ წარმოდგენების ურთიერთობაში ვითარდება და თავის მხრივ მათ გადამუშავებას იწვევს, უიმისოთ ის არ იქნება იდეოლოგია ე. ი. მას საქმე არ ექნება აზრებთან, როგორც დამოუკიდებელ არსებებთან, რომელნიც დამოკიდებლად ვითარდებიან თავის თავის წილიდან და თავის საკუთარ კანონებს ემორჩილებიან.** (ენგელსი).

თუ კი იდეოლოგია თავის განვითარებაში **საკუთარ კანონებს** იმუშავებს, ხელოვნებაც ამ კანონებს ემორჩილება, როგორც იდეოლოგიური ზედნაშენი; ამავე კანონებით განისაზღვრება მისი დაცემის კანონზომიერება. ყოველი პოლიტიკური კატაკლიზმების ეპოქაში ხელოვნების რყევის რეზონანსი დამოკიდებულია კლასთა ბრძოლის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ შინაარსზე. თავისთავად, ეს ბრძოლა ეკონომიურ ფაქტების შედეგია, რადგანაც ეკონომიური ბრძოლა ამავე დროს პოლიტიკური ბრძოლაა, მაგრამ ეკონომიური ფაქტორი ხელოვნებაზე არ მოქმედებს უშუალოდ. ამგვარი მოქმედებისათვის მას სჭირდება მთელი რიგი რგოლების გავლა და ამ მაგნიტური ძალის გადაცემა რგოლებისათვის, რომელიც ეკონომიკის ძალთა ენერგიის წარმოადგენს. ამ საფუძველზე გადამცემ რგოლებში ხდება ეკონომიურ ძალთა არა მარტო მოლეკულიარული გადანაცვლება, არამედ ამ ძალთა სახის შეცვლა და ამგვარი ტრანსფორმაციის შემდეგ იგი მოქმედებს ხელოვნების არსზე.



კოლმეურნეობა „შრომა" (ს. ჯაფარიძე, კახეთი) მოეწყო 1926 წ. მასში შევიდნენ ღარიბი გლეხები და მოჯამაგირეები. ერთ ერთი საუკეთესო კოლმეურნეობათაგანია კახეთში. სანიმუშოდ აქვს მოწყობილი შრომა-დღეების აღრიცხვა. რის გამო 1933 წ. 1-ლ კვარტალში ამ მხრივ არავითარ გაუგებრობას კოლმეურნეებს შორის ადგილი არ ჰქონებია. კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე დაამთავრა თესვა 682,5 ჰექტარზე, ფართოდ გაშალა მუშაობა ვაზის დასარგავად, ბოსტნებში და მოსავლის ახალები მანქანების შესაკეთებლად. კოლმეურნეობას ჰყავს 900 ცხვარი, სარძეო ფერმა 50 ძროხით, 116 ღორი.

სურათზე: მარცხნივ — შრომა-დღეების აღრიცხვა და ჩაწერა კოლმეურნეთა წიგნაკებში, მარჯვნივ — კოლმეურნეები ამხ. გოკაშვილი და ბელაშვილი სალეწი მანქანისათვის ლოკომობილის შეკეთებაზე.

# სამყარო, რომელიც არ ჩანს

## წერილი მესამე
### ე. წულაძე

ამგვარად, ჩვენ დავინახეთ, რომ: 1) ატომი შესდგება ორი სახის მატერიალური წილაკებისაგან — უარყოფითი და დადებითი წილაკებისაგან, 2) ატომის მთელი მასა თავმოყრილია დადებითად დამუხტულ გულში, რომლის გარშემო მოძრაობენ ელექტრონები. ახლა გავეცნოთ, თუ როგორ არის აგებული ატომის ეს ორი „განყოფილება" მისი ელექტრონული სფერო და ატომგული.

**ატომის ელექტრონული სფერო**

1913-14 წლებში ახალგაზრდა, ნიჭიერმა ინგლისელმა ფიზიკოსმა **გ. მოზლიმ** ელემენტთა სპექტრების შესწავლისას*) აღმოაჩინა დამოკიდებულება რენტგენის სხივების ტალღის სიგრძესა და ელემენტის რიგის ნომერს შორის. მან ერთი ერთმანეთზე დაალაგა ელემენტთა სპექტრები ტალღათა სიგრძის ზრდის მიხედვით და გამოარკვია, რომ ტალღათა სიგრძის ზრდის მიხედვით თვითეულ ელემენტს თავისი რიგის ნომრის შესაფერი ადგილი უჭირავს პერიოდულ სისტემაში. 1920 წელს კი **ე. რეზერფორდმა**



ე. რეზერფორდი.

და **ჯ. ჩადვიკმა** გამოარკვიეს, რომ რიგის ნომერი უჩვენებს, თუ რამდენი უარყოფითი და რამდენი დადებითი მუხტი აქვს ამა თუ იმ ელემენტის ატომს: დადებითი მუხტების რაოდენობა ატომგულში უდრის გარსის ელექტრონების რიცხვს და მაშასადამე მუხტსაც, ამიტომ ატომი ელექტრონეიტრალურია. წყალბადის ატომს, რომელსაც აქვს ერთი ელექტრონი და რომლის გული ერთი პროტონისაგან შესდგება, პერიოდულ სისტემაში უჭირავს პირველი ადგილი, მისი რიგის ნომერია 1-ლი. ურანს, რომლის ატომ-გულიც 92 დადებითი მუხტისაგან შესდგება, ელექტრონების რიცხვი კი 92-ს უდრის, პერიოდულ სისტემაში უჭირავს მეოთხმოცდათორმეტე ადგილი, მისი რიგის ნომერია 92. ამრიგად, მოზლის და რეზერფორდ-ჩადვიკის ცდების შედეგად პერიოდული სისტემის ატომწონები კი არ დადგა საფუძვლად, არამედ რიგის ნომერი, რომელიც განსაზღვრავს უარყოფითი და დადებითი მუხტების რიცხვს.

ელექტრონი ელექტრული ბუნებისაა. ქიმიური რეაქციით წარმოშობილი დენიც (გალვანური ელემენტის და აკუმულატორის) წარმოადგენს, აგრეთვე ელექტრონების მოძრაობას მავთულში (გამტარში). ელექტრონისა და პროტონის მუხტი ტოლია, ნიშნით კი საწინააღმდეგო: პროტონი დადებითია, ელექტრონი — უარყოფითი. ამერიკელმა ფიზიკოსმა **მილლიკენმა** გამოიანგარიშა, რომ ერთი ელექტროსტატიკური ერთეული*) 2095 მილიონ ელექტრონს შეიცავს, აქედან გამოიანგარიშეს, რომ როცა დენის ძალა 1 ამპერს უდრის, წამში მავთულში გაივლის რვა ტრილიონი ელექტრონი.

თუმცა პროტონსა და ელექტრონს მუხტი ტოლი აქვთ, მათი მასა ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. პროტონის მასა $=1,66.10^{-24}$ გრ., ელექტრონის მასაკი (ნიშნით უდრის) $=9,00.10^{-28}$ გრ., ე.ი. პროტონის მასაზე 1947-ჯერ ნაკლებია. ამიტომ არის, რომ ელექტრონის მასას და წონას პრაქტიკულად 0-ის ტოლად თვლიან და გამოანგარიშებათა დროს მხედველობაში არ იღებენ.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, რიგობითი ნომრის ზრდა ელემენტის დადებითი მუხტების ზრდის მაჩვენებელია — ელემენტიდან ელემენტისაკენ ერთი ერთეულით მატულობს, ატომის გულში დადებითი მუხტების ზრდის პარალელურად იზრდება გარე (ე.წ. „პლანეტარული") ელექტრონების რიცხვი. მთელი რიგი ექსპერიმენტალური ცდებით დამტკიცებულია, რომ ელექტრონები ატომის გარესფეროში შეჯგუფებული არიან ენერგეტიული დონეების მიხედვით. ეს ენერგიული დონეები აღინიშნება ლათინური ასოებით K, L, M, N, O, P, Q.

პერიოდული სისტემის ნულ ჯგუფში მოქცეულია ელემენტები, რომლებიც **ქიმიურად** სხვა ელემენტებთან არ ურთიერთობენ, ესენი არიან ინერტული გაზები — ჰელიუმი, ნეონი, არგონი, კრიპტონი, ქსენონი და რადონი, ეს ელემენტები ერთმანეთისაგან დაშორებული არიან რვა, 18 და 32 ადგილით. ამიტომ ითვლება, რომ კონფიგურაცია ელექტრონების, რომლებიც 8, 18 და 32 ელექტრონის კრებულს წარმოადგენენ (აგრეთვე ორი ელექტრონი — ჰელიუმის შემთხვევაში), არის მტკიცე, ე. ი. მთლიანად აკმაყოფილებს მტკიცე სისტემის მოთხოვნილებას. **ამით ხსნიან იმას, რომ ასეთი** მტკიცე გარეთა სფეროს მქონე ატომი არც იძენს და არც ჰკარგავს ელექტრონს. წყალბადის შემდგომ ელემენტები ელექტრონების რიცხვი ატომგულის გარშემო მატულობს, სანამ არ შეივსება 8-დე. ასეთია ჰირველი (ჰელიუმის შემდეგ—მეორე) ელემენტი ნეონი და ა.შ. ატომმა, რომელსაც გარე შრეში 8-ზე ნაკლები ელექტრონი აქვს, უნდა დაჰკარგოს ან შეიძინოს რამდენიმე ელექტრონი სხვა ნივთიერების ატომებთან ქიმიური ურთიერთობის დროს, რომ მტკიცე სისტემიანი — 8 ელექტრონიანი შრე შექმნას და ამნაირად შედის მოლეკულებში. ელექტრონებს, რომლებიც „თანამშრომლობენ" ამ მტკიცე გარსის შექმნაში, ვალენტი ელექტრონები ეწოდება. ნათელვჰყოთ ეს რაიმე მაგალითზე. ავიღოთ გოგირდმჟავას კალიუმის მარილი, რომლის მოლეკულაში შედის სამ ელემენტის ატომები. გავეცნოთ, თუ რამდენი ელექტრონია მოთავსებული თვითეულ ატომის სხვადასხვა ენერგეტიულ დონეზე.

| | K | L | M | N |
|---|---|---|---|---|
| კალიუმი | 2 | 8 | 8 | 1 |
| გოგირდი | 2 | 8 | 6 | — |
| ჟანგბადი | 2 | 6 | — | — |

რომ ამ სამი ელემენტიდან მივიღოთ ქიმიური ნაერთი — **გოგირდმჟავას** კალიუმის მარილი, უნდა მოხდეს ელექტრონების გადაადგილება მათ ატომებს შორის. ეს გადაადგილება ემორჩილება გარკვეულ პირობებს (ატომგულის მუხტი, ატომის რადიუსი და სხვ.), რომელზედაც ჩვენ აქ არ შევჩერდებით. შედეგად ვღებულობთ გოგირდმჟავა კალიუმის მარილს მოლეკულას, რომელშიც კალიუმს დაკარგული აქვს ერთი



ე. რეზერფორდის აპარატი, ატომგულის დასაშლელად.

ელექტრონი, გოგირდს—ექვსი, ჟანგბადის ატომს კი შეძენილი აქვს ორი ელექტრონი. ახლა ამ მოლეკულის შემადგენელი იონების (ატომს, რომელსაც შეძენილი, ან დაკარგული აქვს ელექტრონი, ქიმიაში იონი ეწოდება) ენერგეტიულ დონეებზე ელექტრონები უკვე ასე არიან განლაგებული:

---

*) 1912 წ. მ. ლაუემ რენტგენის სხივების ბუნების შესწავლის დროს გამოარკვია, რომ რენტგენის სხივები არაფრით განირჩევა ხილული სინათლისაგან, გარდა ტალღის სიგრძისა. აღმოჩნდა, რომ ყოველი ქიმიური ელემენტი შესაფერ პირობებში გამოჰყოფს გარკვეული სიგრძის ტალღის მქონე რენტგენის სხივებს, რომლებიც ერთად შეადგენენ რენტგენის სპექტრს, დამახასიათებელს ყოველი გარკვეული ელემენტისათვის. ელემენტთა რენტგენის სპექტრები ღრმად შეისწავლა ჯერ გ. მოზლიმ (მსოფლიო ომის დროს დაიღუპა გალიპოლზე) და შემდეგ შვედმა ფიზიკოსმა **მანე ზიგბანმა**.

*) ელექტროსტატიკური ერთეული ეწოდება ელექტრობის იმ რაოდენობას, რომელიც ელექტრონის ტოლ რაოდენობაზე, რომელიც მისგან ერთი სანტიმეტრის მანძილზე იმყოფება, მოქმედებს ერთი დინის ძალით. ეს ძალა უდრის 1,02 მილიგრამს.

| | K | L | N | N |
|---|---|---|---|---|
| კალიუმი | 2 | 8 | 8 | — |
| გოგირდი | 2 | 8 | — | — |
| ჟანგბადი | 2 | 8 | — | — |

(ნართის ფორმულაა $K_2SO_4$, ჟანგბადის ოთხი ატომიდან სამმა გოგირდისათვის წართმეული 6 ელექტრონი გაინაწილა, ერთმა კი კალიუმის ორი ატომისაგან წართმეული თითო ელექტრონით შეივსო თავისი გარსი). რა ნაერთთა მოლეკულები არ უნდა ავიღოთ, ყველგან ელექტრონების გაცვლა-გამოცვლა ამ რვა სისტემიანი გარსის შექმნის კანონს ემორჩილება.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ატომის ქიმიური თვისებები დამოკიდებულია მის ელექტრონულ სფეროზე, უფრო სწორად, რომ ვთქვათ, მის სავალენტო ელექტრონებზე.

მაშასადამე, როგორც დავინახეთ, ქიმიური რეაქციების დროს ატომები თავისი გარეთა შრეებით ურთიერთობენ. მათი ელექ-




**8. ტრილიონი ელექტრონი გაივლის წამში მავთულში, როცა დენის ძალა ერთ ამპერს უდრის და ნათურას შიგნით მოქცეულ წვრილ მავთულს აზურებს ისე, რომ იგი ანათებს კაშკაშა სინათლით.**

ტრონული გარსის უფრო ღრმა შრეები და მთელი ატომგული ქიმიური რეაქციების დროს „ხელუხლებელი" რჩება. ატომის გარსის უფრო ღრმა შრეები იძლევიან რენტგენულ გამოსხივებას და სხვა ფიზიკურ მოვლენებს, რომლებზედაც ჩვენ არ შევჩერდებით, ატომგული კი იძლევა ყველა რადიო-აქტიურ და რადიო-ქიმიურ მოვლენებს, რომელთა აღმოჩენამ და შესწავლამ სულ ახალი სახე მისცა თანამედროვე ქიმიასაც და ფიზიკასაც.

## ატომგული

ატომის გარე—მისი ელექტრონულ სფეროს შესწავლა და იმ კანონზომიერებათა გამორკვევა, რომლებიც ელექტრონების მოძრაობასა და ქიმიურ რეაქციებშია შემჩნეული, შედარებით ადვილი აღმოჩნდა სპექტრალური ანალიზით, რენტგენოგრაფიულად, რენტგენომეტრიულად და სხვ. ხერხებით, თუმცა მას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ამიტომ დღეს-დღეობით ატომის ელექტრონული სფერო შეგვიძლია თითქმის სავსებით შესწავლილად ჩავთვალოთ. ამას კი ვერ ვიტყვით ატომგულზე. თითქმის ყოველ თვეს ახალ-ახალი სენსაციური ცნობები მოაქვს მისი აგებულების შესახებ.

ძნელი, გრძელი და უღრესად საინტერესო გზა გაიარა მეცნიერებამ, სანამ ატომგულის აგებულების თანამედროვე სურათს შექმნიდა.

საჭირო იყო ატომგულის დაშლა მის შემადგენელ აგურაკებად, ნაწილებად, მაგრამ სად იყო ასეთი მიკროსკოპიული ტყვიები და ზარბაზანი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მოხვედრება ისეთ წარმოუდგენლად პატარა ნიშანში, როგორსაც ატომგული წარმოადგენს.

ინგლისელმა მეცნიერმა **რამზაიმ** პირველმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ამგვარ ყუმბარებად გამოდგება რადიოაქტიურ ნივთიერებათა დაშლის დროს გამოყოფილი ალფა-წილაკები. ე. რეზერფორდის და ჩადვიკის ცდებმა (1906—1919 წ.წ.) სავსებით გაამართლეს ეს მოსაზრება. მოხერხდა შესაფერისი „ზარბაზნის" მომზადებაც.

ეს აპარატი წარმოადგენს თითბრის T მილს სამ სანტ. დიამეტრით, გვერდითი მილებითა და ონკანებით—მშრალი გაზების ცირკულიაციისათვის. მილის მარჯვენა ფსკერზე არის ნახვრეტი, დაფარული თხელ ვერცხლის ფირფიტით, გოგირდ-თუთიის ეკრანი S დამაგრებულია 1,3 მილიმეტრის მანძილზე ამ ნახვრეტიდან. ისე, რომ რჩება მანძილი ქარსის ფირფიტის ჩასადებად. რადიოაქტიურ ნივთიერებას ათავსებენ ღეროს ბოლოში, R-ში, მანძილი წერტილსა და ეკრანს შორის შეიძლება ნების მიერ შეიცვალოს რადიოაქტიური ნივთიერება, როგორც ვიცით, ალფა-წილაკებთან ერთად გამოჰყოფს ბეტა-წილაკებსაც, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ნათება, თუ ეკრანამდე მიაღწიეს. ამიტომ მთელს აპარატს ათავსებენ ძლიერ მაგნიტურ არეში, რომელიც იწვევს ბეტა-სხივების (ელექტრონების) გადახრას, ალფა-წილაკებს კი საშუალებას აძლევს მოხვდეს ეკრანზე.

ალფა-წილაკებს მხოლოდ გარკვეული სიძლიერის წინაღობის დაძლევის უნარი აქვთ. მაგალითად, თუ ნახვრეტში მოათავსებენ ქარსის ფირფიტას, რომელიც თავისი წინაღობის ძალით 20 სანტ. სისქე ჰაერს უდრის, ცხადია ალფა-წილაკები, რომელთა გარბენის მაქსიმალური მანძილი ჰაერზე 7 სანტ. უდრის, ეკრანამდე ვერ მიაღწევდენ. მაგრამ, როცა T მილი წყალბადით გაავსეს ეკრანზე ნათება შემჩნეულ იქნა. აქედან დაასკვნეს: ალფა-წილაკები, ეჯახებიან რა წყალბადის ატომებს (H წილაკებს) აძლევენ უკანასკნელთ ისეთ სისწრაფეს, რომ მათ შედარებით გრძელი გზა გაიარონ. საინტერესოა ის გარემოება, როცა T მილი ჟანგბადით გაავსეს, ეკრანზე ნათება ვერ შეამჩნიეს. აზოტის შემთხვევაში კი ნათება ისევ იქნა შემჩნეული. გამოარკვიეს, რომ ამ ნათებას იწვევს H წილაკები, რომელთა გარბენის მანძილი ჰაერზე უფრო დიდია (40 სანტიმეტრი), ვიდრე წყალბადიდან მიღებულ წილაკების (30 სანტ.). H წილაკები იქნა მიღებული აგრეთვე ზოგიერთი სხვა-კენტნომრიანი ელემენტების (ფტორის—№ 9, ფოსფორის—№ 15, ალუმინის—№ 13) შემთხვევაში. აქედან ასკვნიან, რომ კენტნომრიან ელემენტების ატომები სხვანაირად არის შედგენილი, ვიდრე წყვილნომრიანი. თუ როგორ, ამას მხოლოდ ახლა ეხდება ნაწილობრივ ფარდა. ამრიგად გამოირკვა, რომ ატომგულში გვაქვს—ალფა-წილაკები (ჰელიუმის ატომები) ოთხი დადებითი მუხტით და ორი ელექტრონით (სხვაობა — ორი დადებითი მუხტი), პროტონები, იგივე H წილაკები—ერთი დადებითი მუხტით და ელექტრონები (ბეტა-წილაკები).



რომ ჩვენ თვითეულ ელექტრონის სიდიდე ერთ მილიმეტრამდე გავადიდოთ, 8 ტრილიონი ელექტრონი ძლივს დაეტეოდა ევროპის მთელს ფართობზე.

მთელი ათი წლის განმავლობაში ამ ცდების შემდეგ მტკიცედ გამორკვეულად ითვლებოდა, რომ ამ სამი ძირითადი აგურაკიდან შესდგებოდა ატომგული. ფიზიკოსების გულისყური იქითკენ იყო მიპყრობილი რომ გამოეკვლიათ, თუ რა კანონს ემორჩილება ატომგულის შიგნით ელექტრონების, ალფა-წილაკებისა და პროტონების ბა, როგორ არიან ისინი დაკავშირებული.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ 1920 წ. რეზერფორდმა თეორიული მსჯელობით გამოიყვანა კიდევ ორგვარი გულწილაკის არსებობა: ე. წ. „ნეიტრონის" და ნახევარ ალფა-წილაკების. ამ ორ წილაკს ფიზიკოსები ამაოდ ეძებდენ 1930 წლამდე.

მაგრამ მოულოდნელად, 1930 წლის შემოდგომაზე, გერმანელმა ფიზიკოსებმა **ბოტემ და ბეკერმა** ბერილიუმის (№ 4) ატომებისათვის ალფა-წილაკების დაშენის დროს შენიშნეს, რომ ბერილიუმის ატომის წიაღიდან გამოდის გამოსხივება, რომლის ბუნება სრულიად უცნობი იყო. ფოტო-გადაღებამ ე. წ. „ვილსონის კამერაში", რომელიც იძლევა ატომის ყოველგვარი წილაკების (ალფა და ბეტა წილაკები, პროტო-



**სინამდვილეში კი ქინძისთავის „ფართობი" სჭამოა მილიარდ ელექტრონების მოსათავსებლად.**

**წონით 8 ტრილიონი ელექტრონი ერთმეორედ მილიგრამს იწონის.**

ნები) აგრეთვე მოკლეტალღოვანი (რენტგენის და გამმა) სხივების აღბეჭდვის შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში ნაყოფი არ გამოიღო. 1932 წლის აპრილში **ჩადვიკმა** კემბრიჯში (ინგლისი) და ცოლ-ქმარმა ჟოლიომ (ირენ ჟოლიო არის ცოლ-ქმარ კიურის ქალი) ფოტო-ფირფიტაზე, ბერილიუმის დაშლის ანაბეჭდის ადგილას, შენიშნეს გარკვეული კვალი პროტონების, რომელთა მოძრაობის სისწრაფე თვითეულზე სჭარბობდა მანამდე ცნობილ მსგავს რამეს. იმ დროს, როცა დაშლილი ატომების გულიდან გამოძევებული პროტონები ჰაერში 9—10 სანტიმეტრის გავლას აჩერხებდნენ „დამუხრუჭებამდე", ჩადვიკის მიერ შენიშნული პროტონები რამდენიმე მეტრის გავლას ასწრობდნენ. უნებლიედ დაიბადა აზრი, რომ ეს პროტონები ჰაერის ატომების გულიდან იქნა გამოძევებული ბერილიუმის ატომების დაშლის დროს და ენერგეტიული ეფექტით სჭარბობს ყველაფერს რაც კი აქამდე ცნობილია ატომის ფიზიკაში.

ჩადვიკი თავის დაკვირვებათა და გამოანგარიშებათა საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ახლად აღმოჩენილი „უცნობი" წილაკი არის სწორედ რეზერფორდის




**ლითიუმის ატომი, რომლის ატომგული შესდგება (ბორის მოდელის მიხედვით) 4 პროტონისა და ორი ელექტრონისაგან, ორი ელექტრონი კი მოძრაობს ატომგულის გარშემო.**

ის „ნეიტრონი", რომელსაც 12 წლის განმავლობაში ამაოდ ეძებდნენ. ზოგიერთი მკვლევარები იმ აზრის არიან, რომ ახალი წილაკი წარმოადგენს პროტონისა და ელექტრონს, ისე შერწყმულს რაღაც ძალების ზეგავლენით, რომ ის სრულიად ელექტ-

# ამხ. ს. ი. გუსევის ხსოვნას

ივნისის 10 ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ყირიმში გარდაიცვალა ამხ. ს. ი. გუსევი. გუსევის სახელი, როგორც მედგარი და შეურყეველი ბოლშევიკ-ლენინელის ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებში, არამედ უცხოეთის რევოლუციურ მუშებშიაც.

ამხ. გუსევი ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე დაუღალავად იბრძოდა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციისათვის.

ამხ. გუსევის რევოლუციური მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბოლშევიკური პარტიის მთელს ისტორიასთან.

1896 წ. როცა ს.-დ. წრეები პროპაგანდიდან გადავიდენ მასიურ მუშაობაზე მუშათა ფართე წრეებში ის შედის „**მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლთა**" ლენინგრადის კავშირში. 1902 წ. ამხ. გუსევი მეთაურობს მუშათა მასიურ გამოსვლებს დონის როსტოვში. ამ საქმეში ის იჩენს უდიდეს ენერგიას და რევოლუციურ ალღოს, მან დაამტკიცა თუ როგორ შეიძლება მასიურ-ეკონომიურ გამოსვლის გადაქცევა პოლიტიკურ მოძრაობათ.

პარტიის მეორე ყრილობაზე ამხ. გუსევი უყოყმანოდ დგება ლენინის პოზიციებზე და შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებს მენშევიკებისა და საერთოდ ყოველგვარ ანტიპარტიულ, ოპოზიციურ, ოპორტუნისტულ გადახრების წინააღმდეგ.

1905 წ. გუსევი მუშაობს ოდესაში. მომდევნო წლებში გადასახლების დროსა და ემიგრაციაში ძველებური ენერგიით განაგრძობს დაუღალავ მუშაობას, ბრძოლას მუშათა კლასის გამარჯვებისათვის.

სამოქ. ომის დროს ის წითელი არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანია და ასრულებს პარტიის მთელ რიგ საპასუხისმგებლო დავალებებს.

1923 წ. გუსევს ირჩევენ ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მდივნად; მისი უშუალო მუშაობა საკ. კომპ. (ბ) ცეკაში გრძელდება 1928 წლამდე. ამ დროიდან ის მუშაობს კომუნისტურ ინტერნაციონალში.

კომინტერნის მუშაობაში გუსევი უდიდეს როლს თამაშობდა: ს. კ. პ. (ბ) ბრძოლებსა და მიღწევების გმირული მაგალითები მას გადაჰქონდა კომინტერნის სხვა დანარჩენ სექციებში.

როგორც ამხ. **ლენინისა** და **სტალინის** თანამებრძოლს, ამხ. გუსევს პრაქტიკულ და თეორეტიულ მუშაობაში ყოველთვის ახასიათებდა ბოლშევიკური პრინციპულობა სიფხიზლე და სიმტკიცე.



ამხ. გუსევს იცნობდა პარტიული ფართე მასა, არა მარტო, როგორც პრაქტიკულ მებრძოლს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. მას აქვს აგრეთვე მთელი რიგი თეორიული ხასიათის შრომები. აღსანიშნავია მისი: „**ერთიანი სამეურნეო გეგმა, ერთიანი აპარატი**" (გამოცემა—1920 წ.); „**სამოქალაქო ომის გაკვეთილები**" (გამოცემა მეორე—1921 წ.); „**ჩვენი უთანხმოებანი სამეურნეო საქმეში**" (გამოცემა 1925) და უკანასკნელ ხანებში დამთავრებული შრომები: „**პარტიის მეორე ყრილობის შესახებ**" (დაიბეჭდა პრავდაში).

გარდა ამ შრომისა ამხ. გუსევის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მთელი რიგი წერილებისა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის შესახებ.

ამხ. გუსევის სიკვდილი დიდი დანაკლისია ს. კ. პ. (ბ), კომინტერნისა და მთელი საერთაშორისო მუშათა კლასისათვის, რომლის განთავისუფლების სადარაჯოზე ის იდგა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, როგორც ლენინელთა გვარდიის ნაცადი, მრავალ ბრძოლებში გამობრძმედილი—საერთაშორისო ოქტომბრის რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი.

---

რო-ნეიტრალურია, ფიზიკოსთა ნაწილი ნეიტრონში ხედავს სრულიად ახალი თვისების მქონე წილაკს, პროტონის ტოლი მასით, მოკლებულს ყოველგვარ ელექტრონულ მუხტს.

ასეა თუ ისე, ნეიტრონის არსებობა დღეს უდავოთ არის დამტკიცებული. ამრიგად ამჟამად ჩვენ გვაქვს ატომგულის ასეთი შემადგენლობა: ბეტა-წილაკები (ელექტრონები) ალფა-წილაკები, პროტონები და ნეიტრონები.

შეგვიძლია, თუ არა გადაჭრით ვთქვათ, რომ აღმოჩენილია ატომგულის შემადგენლი ყველა წილაკები, რასაკვირველია, არა, კიდევ ბევრი მუშაობა და კვლევა-ძიებაა საჭირო, რომ სავსებით გამოვიკვლიოთ გავშიფროთ ყველა კუნჭულები და უსასრულოდ მცირე მაგრამ ენერგეტიულად უსაზღვრო სამყაროსი, რომელსაც წარმოადგენს ატომი და კერძოთ ატომგული.

მაგრამ თავისთავად ატომგულის რთული შემადგენლობა არ იქნებოდა იმდენად საინტერესო, რომ მასთან დაკავშირებული არ იყოს მის წილაკებში ჩაქსოვილი აურაცხელი ენერგია, რომელიც მჟღავნდება როგორც რადიო-აქტიური პროცესების ისე ელემენტების ხელოვნური გარდაქმნის დროს. ეს ფაქტი საკმარისია, რომ ცხადი შეიქნეს, თუ რა უსაზღვრო პრაქტიკული პერსპექტივები მოელის ამ საკითხის ბოლომდე შესწავლას.

უკანასკნელი ამოცანა პრაქტიკული განხორციელების გზაზეა. **კოკროფტისა** და **უოლტონის** (ინგლისი) და შემდეგ ხარკოვის ფიზიკო-ტეხნიკურ ინსტიტუტში ჩატარებული ცდები ლითიუმის ატომების დასაშლელად ფართო პერსპექტივებს შლიან ელემენტების სინთეზისათვისაც. ჩვენთვის ცნობილია, რომ პროტონების, ალფა-წილაკების და ნეიტრონების რაოდენობაზე ატომგულში დამოკიდებულია მისი ფიზიკური და რადიო-ქიმიური თვისებები. მეცნიერებამ უკვე მოახერხა ელემენტთა ატომების დაშლა (ამ დაშლის განსახორციელებლად ამჟამად ფიზიკის განკარგულებაშია ისეთი მძლავრი ყუმბარები, რომელთა შედარებით წყალბადის ატომგულები ან ალფა-წილაკები იგივეა, რაც საბავშვო მონტეკრისტოს ტყვია „ბერტა"-ს ყუმბარებთან). არაფერი ფანტასტიური არ არის იმაში, რომ მეცნიერება შესძლებს ატომების საცდელი დაშლიდან გამოყენებითი დაშლაზე გადასვლას და ელემენტთა სინთეზის განხორციელებას, ძველი ალქიმიკოსების ოცნება ნივთიერების გარდაქმნის შესახებ განხორციელდება ახალ, მეცნიერულ საფუძველზე, მაგრამ ესეც არ არის მთავარი, ალქიმიკოსების ოცნებაც, რომ საქარხნო წესით განვახორციელოთ, უბრალო ლითონებიდან, მაგალითად ტყვიიდან ოქრო მივიღოთ, ეს გარდაქმნა იმდენად იაფფასიან ენერგიას გაათავისუფლებს, რომ მეცნიერ **ფრ. სოდდის** თქმით, მიღებულ ოქროს აღარავის გაახსენდება.

ატომი უსასრულოდ მცირე სამყაროა, მაგრამ, როგორც დავინახეთ, ეს უსასრულო მცირე სამყარო უსაზღვროდ დიდ შესაძლებლობათა შემცველია.



ჩიკაგოს (ამერიკა) მასწავლებლებს ათი თვეა არ მიუღიათ ხელფასი, ამ ნიადაგზე ათასი გამოვიდენ დემონსტრაციაზე და მოითხოვეს ხელფასის დაუყოვნებლივ ანაზღაურება. მასწავლებლებმა იერიში მიიტანეს ჩიკაგოს ბანკზე, რომლის პრეზიდენტია ჩარლზ დაუესი და მოითხოვეს ხელფასის გაცემა.

ბანკის გამგეობამ წინადადება მისცა მასწავლებლებს აერჩიათ დელეგაცია, რომელიც ვახშამზე მიიწვია, მაგრამ მასწავლებლებმა უარი სთქვეს ამ მიპატიჟებაზე. მაშინ ბანკის უფროსმა წინადადება მისცა მასწავლებლებს საკითხის განხილვა გადადებულიყო „შემდეგ კვირამდე".

სურათზე:—ჩიკაგოს ბანკის დირექტორი ჩარლზ დაუესი ურჩევს მასწავლებლებს დაიშალონ.

## „აკრონ"-ის მემკვიდრე



მსოფლიოში უდიდეს დირიჟაბლის „აკრონ"-ის დაღუპვისთანავე შეერ. შტ. საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი უდიდესი დირიჟაბლი „მაკონ" სწორედ ისეთივე კონსტრუქციის, როგორიც იყო „აკრონ"-ი.

სურათზე:—ზევით—აი, რა დარჩა „აკრონ"-ის დაღუპვის შემდეგ. ქვევით ახალი დირიჟაბლი „მაკონ" გაფრენის დროს.

## დოლარის მარცხი



შეერთებული შტატების მთავრობამ აკრძალა ოქროს გატანა და ქაღალდის ფულების გადაცვლა ოქროზე, რაც ნიშნავს ხელის აღებას ოქროს სტანდარტზე, დაიწყო ქაღალდის ფულების ფართო ემისია.

სურათზე—ქაღალდის ფულის ნიშნების ბეჭდვა შეერთ. შტატების ერთ-ერთ ზარაფხანაში. ცენტრში ხედავთ შეერთ. შტატების ფინანსთა მინისტრ ვუდინს.

## ქალთა გასამხედროება იაპონიაში



თავის ყაჩაღური ომისათვის ჩინეთთან იაპონიის იმპერიალიზმი საჭიროებს საზარბაზნე ხორცის მუდმივ მარაგს. იაპონიის სკოლებსა და უნივერსიტეტებში სავალდებულო სამხედრო სწავლების შემოღების შემდეგ ტარდება ქალთა გასამხედროება.

სურათზე—ქალები ტყვიამფრქვევიდან სროლის შესწავლაზე პირველ ქვეითა პოლკში (ტოკიო).

ფასი 40 კაპ.

ბიბლიოთეკა

გაზ. „კომუნისტი“-ს სტამბა კამოს 68.

მთავლიტი 820